

სს “ბაზისბანკის”

ნაერთი ფინანსური ანგარიშები

2011 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3
მთლიანი მოგების ნაერთი ანგარიში.....	4
ფინანსური მდგომარეობის ნაერთი ანგარიში.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთი ანგარიში.....	6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ნაერთი ანგარიში.....	7
შენიშვნები ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე.....	8



“KPMG CIS Limited”-ის
თბილისის ფილიალი
4, ბესიკის ქუჩა,
თბილისი, 0108,
საქართველო

ტელეფონი
ფაქსი
ინტერნეტი

+995 (32) 2935695
+995 (32) 2935713
www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “ბაზისბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ შევამოწმეთ 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სს “ბაზისბანკისა” (შემდგომში – “ბანკი”) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში – “ჯგუფი”) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რომლებიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ნაერთ ანგარიშს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის ნაერთ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილების ნაერთ ანგარიშსა და და ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთ ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი საბუღალტრო პროცედურების მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ნაერთი ფინანსური ანგარიშების “ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” თანახმად მოამზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე. ხსენებული პასუხისმგებლობა მოიცავს იმ შიდა კონტროლის პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი ნაერთი ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომლებიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს;

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერვე ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გააკეთოთ დასკვნა აღნიშნულ ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები და აუდიტი დავეგეგმოთ და ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, რომ ნაერთ ფინანსურ ანგარიშებში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების განხორციელებას, რომელთა მიზანია აუდიტორი მტკიცებულების მოპოვება ნაერთ ფინანსურ ანგარიშებში ასახული თანხებისა და მონაცემების შესახებ. აუდიტორების მიერ პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია მათ მიერ ფინანსურ ანგარიშებში თაღლითობისა თუ შეცდომის გამო არსებული მნიშვნელოვანი უზუსტობების რისკების შეფასებაზე. ხსენებული რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის მიერ ნაერთი ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, არსებულ პირობებში სათანადო აუდიტის პროცედურების შემუშავების მიზნით და არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის პროცედურების ეფექტურობაზე მოსაზრებისა თუ დასკვნის გაკეთების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და ბუღალტრული გაანგარიშებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე მთლიანობაში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების სისწორის შეფასებას.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული ნაერთი ფინანსური ანგარიშები სამართლიანად ასახავს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, “ჯგუფის” საერთო ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი ფინანსური საქმიანობის საერთო შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, “ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად.

“KPMG CIS Limited”-ის თბილისის ფილიალი
2012 წლის 7 მაისი

სს "ბაზისბანკი"
 მთლიანი შემოსავლის ნაერთი ანგარიში 2011 წლის 31 დეკემბრით
 დასრულებული წლისთვის

	შენიშნები	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი	4	14,479	13,416
საპროცენტო ხარჯი	4	(6,924)	(6,606)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		7,555	6,810
საკომისიო შემოსავალი	5	3,605	3,270
საკომისიო ხარჯები	6	(1,547)	(1,534)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		2,058	1,736
წმინდა შემოსავალი უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან	7	1,806	1,754
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	2,051	1,606
საოპერაციო შემოსავალი		13,470	11,906
გაუფასურების ზარალი	9	(1,019)	(1,100)
პერსონალის ხარჯები	10	(4,976)	(4,998)
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	11	(3,956)	(3,738)
მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე		3,519	2,070
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	12	(414)	(286)
პერიოდის მოგება		3,105	1,784
სხვა მთლიანი შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადის გარეშე			
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება		227	-
მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასება		-	173
პერიოდის სხვა მთლიანი შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადის გარეშე		227	173
პერიოდის მთლიანი შემოსავალი		3,332	1,957
მთლიანი შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:			
- ბანკის კაპიტალის მფლობელებს		3,332	1,957
- არასაკონტროლო წილებს		-	-
პერიოდის მთლიანი შემოსავალი		3,332	1,957

5-58 გვერდებზე წარმოდგენილი ნაერთი ფინანსური ანგარიშები დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2011 წლის 7 მაისს და ამ უკანასკნელის სახელით აღნიშნულ ანგარიშებს ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა:

დავით ცაავა
 გენერალური დირექტორი

ღია ასლანიკაშვილი
 ფინანსური დირექტორი

მთლიანი შემოსავლის ნაერთი ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართულ შენიშვნებთან ერთად. მთლიანი შემოსავლის ნაერთი ანგარიში წარმოადგენს ნაერთი ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

სს "ბაზისბანკი"
 ფინანსური მდგომარეობის ნაერთი ანგარიში 2011 წლის 31 დეკემბრით
 დასრულებული წლისთვის

	შენიშგ ნები	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
აქტივები			
ნაღდი ფული		11,747	11,460
საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისაღები	13	13,128	17,983
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები	14	9,905	5,190
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები			
- ჯგუფის მფლობელობაში არსებული	15	14,376	63
- გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე დაგირავებული	15	5,695	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	16	72,264	63,976
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები			
- "ჯგუფის" მფლობელობაში არსებული	17	-	7,165
- გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე დაგირავებული	17	-	2,085
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები	18	1,953	2,338
საინვესტიციო ქონება		1,295	436
ქონება და მოწყობილობა	19	15,370	15,764
არამატერიალური აქტივები		231	275
სხვა აქტივები	20	13,388	13,660
აქტივები სულ		159,352	140,395
ვალდებულებები			
სხვა ბანკების კუთვნილი დეპოზიტები და ნაშთები	21	5,353	394
გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე გადასახდელი თანხები	22	5,502	2,000
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	23	98,211	95,877
სუბორდინირებული სესხები	24	3,462	-
სხვა ნასესხები სახსრები	24	18,470	18,006
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	12	1,005	551
სხვა ვალდებულებები	25	1,711	1,261
მთლიანი ვალდებულებები		133,714	118,089
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	26	5,912	5,912
პრემია აქტივებზე		5,612	5,612
ქონებასთან და მოწყობილობასთან დაკავშირებული გადაფასების ნამეტი		2,361	2,361
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი		227	-
გაუნაწილებელი მოგება		11,276	8,171
ბანკის მფლობელების კუთვნილი მთლიანი კაპიტალი		25,388	22,056
არასაკონტროლო წილები		250	250
მთლიანი კაპიტალი		25,638	22,306
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		159,352	140,395

ფინანსური მდგომარეობის ნაერთი ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართულ შენიშვნებთან ერთად. ფინანსური მდგომარეობის ნაერთი ანგარიში წარმოადგენს ნაერთი ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

	შენი შენე ბი	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
საპროცენტო და საკომისიო შემოსულობები		16,497	16,165
საპროცენტო და საკომისიო თანხების გადახდა		(8,469)	(7,594)
უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობები		1,887	1,754
სხვა შემოსავალი		1,241	1,192
პერსონალის ხარჯები და სხვა ძირითადი ადმინისტრაციული ხარჯები		(7,411)	(7,582)
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		752	-
დასაკუთრებული აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		43	884
საოპერაციო აქტივების ზრდა (კლება)			
საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისაღები სახსრები		(6,605)	(1,752)
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები		(3,023)	7,407
კლიენტებზე გაცემული სესხები		(12,810)	(13,345)
სხვა აქტივები		(138)	(1,546)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)			
სხვა ბანკების კუთვნილი დეპოზიტები და ნაშთები		5,005	(469)
გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე გადასახდელი თანხები		3,500	2,000
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები		5,137	14,666
სხვა ვალდებულებები		167	(73)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(4,227)	11,707
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების შეძენა		(28,967)	-
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების რეალიზაცია და დაფარვა		10,449	-
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციების შეძენა		-	(9,299)
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციების რეალიზაცია და დაფარვა		9,432	6,133
ქონებისა და მოწყობილობების შეძენა		(821)	(4,575)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(127)
ქონებისა და მოწყობილობების რეალიზაცია		75	4
საინვესტიციო ქონების რეალიზაცია		580	-
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(9,252)	(7,864)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სუბორდინირებული სესხების შემოსულობები		3,462	-
სხვა ნასესხები სახსრების წმინდა შემოსულობები		1,521	3,257
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		4,983	3,257
ნაღდი ფულია და ნაღდი ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)			
ნაღდ ფულზე და ნაღდი ფულის ეკვივალენტებზე სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგები		(331)	250
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		30,681	23,331
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	33	21,854	30,681

ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთი ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართულ შენიშვნებთან ერთად. ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთი ანგარიში წარმოადგენს ნაერთი ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

ლარი'000

ბანკის კაპიტალის მფლობელების კუთვნილი

	საწესდებო კაპიტალი	პრემია აქციებზე	ქონებისა და მოწოდებლობის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არასაკონტროლ ო წილები	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2010 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	5,912	5,612	2,188	-	6,387	20,099	250	20,349
მთლიანი შემოსავალი სულ								
პერიოდის მოგება	-	-	-	-	1,784	1,784	-	1,784
სხვა მთლიანი შემოსავალი								
მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასება, საშემოსავლო გადასახადის გარეშე	-	-	173	-	-	173	-	173
პერიოდის სხვა მთლიანი შემოსავალი	-	-	173	-	-	173	-	173
სხვა მთლიანი შემოსავალი სულ	-	-	173	-	1,784	1,957	-	1,957
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,912	5,612	2,361	-	8,171	22,056	250	22,306
ნაშთი 2011 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	5,912	5,612	2,361	-	8,171	22,056	250	22,306
მთლიანი შემოსავალი სულ								
პერიოდის მოგება	-	-	-	-	3,105	3,105	-	3,105
სხვა მთლიანი შემოსავალი								
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება, საშემოსავლო გადასახადის გარეშე	-	-	-	227	-	227	-	227
სხვა მთლიანი შემოსავალი სულ	-	-	-	227	-	227	-	227
პერიოდის სხვა მთლიანი შემოსავალი სულ	-	-	-	227	3,105	3,332	-	3,332
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,912	5,612	2,361	227	11,276	25,388	250	25,638

კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ნაერთი ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართულ შენიშვნებთან ერთად. კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ნაერთი ანგარიში წარმოადგენს ნაერთი ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

1 შესავალი

(ა) ძირითადი საქმიანობა

წინამდებარე ნაერთი ფინანსური ანგარიშები მოიცავს “ბაზისბანკისა” (შემდგომში – “ბანკი”) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთობლივად – “ჯგუფი”) თანდართულ ფინანსურ ანგარიშებს. “ბანკის” ძირითადი შვილობილი კომპანიები წარმოდგენილია აქტივების მართვისა და სამშენებლო კომპანიებით.

სს “ბაზისბანკი” არის სააქციო საზოგადოების ფორმით მოქმედი ბანკი, რომელიც საქართველოში 1993 წელს დაფუძნდა. ბანკის ძირითადი საქმიანობაა დეპოზიტების მიღება და კლიენტთა ანგარიშების წარმოება, სესხებისა და გარანტიების გაცემა, საკასო და ანგარიშსწორების ოპერაციებისა და ფასიან ქაღალდებთან და უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება. ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (“სებ”) მიერ. ბანკს საქართველოს მასშტაბით აქვს 18 მოქმედი ფილიალი.

ბანკის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზირი №1. ბანკის მიერ წლის განმავლობაში დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 251-ს (270 – 2010 წელს).

2009 წლის 28 სექტემბერს ბანკმა დააფუძნა შვილობილი კომპანია სახელწოდებით შპს “ბაზისის აქტივების მართვა”. 2009 წლის 29 სექტემბერს “ბაზისის აქტივების მართვამ” შეიძინა სამშენებლო კომპანია “ამხანაგობა პალადი იმპერიალის” 75%-იანი წილი. 2011 წლის 29 დეკემბერს ბანკმა 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნა შვილობილი კომპანია – აქტივების მარტვის კომპანია სახელწოდებით შპს “ბაზისის აქტივების მართვა - ქობულეთი”.

ბანკის ძირითადი შვილობილი კომპანიები:

სახელწოდება	რეგისტრაციის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა	წილი %	
			2011	2010
შპს “ბაზისის აქტივების მართვა”	საქართველო	აქტივების მართვა	100%	100%
შპს “ბაზისის აქტივების მართვა - ქობულეთი”	საქართველო	აქტივების მართვა	100%	-
“პალადი იმპერიალი”	საქართველო	მშენებლობა	75%	75%

აქციონერები	2011 წილი, %	2010 წილი, %
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ)	15.00%	15.00%
ზურაბ ციხისთავი	13.92%	13.92%
ელდარ მილდიანი	9.89%	9.89%
ზაზა ნიშნიანიძე	8.51%	8.51%

აქციონერები	2011 წილი, %	2010 წილი, %
მურმან ამბროლაძე	6.58%	6.58%
არჩილ მაზიაშვილი	6.33%	6.33%
ქეთევან სოსელია	5.62%	5.62%
ტარას ნიჟარაძე	4.58%	4.58%
გია პეტრიაშვილი	4.57%	4.57%
გიორგი ვაჩნაძე	4.44%	4.44%
გოდერძი მელაძე	4.42%	4.42%
თენგიზ მაზიაშვილი	4.38%	4.38%
სხვა პირები	11.76%	11.76%
	100.00%	100.00%

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან ასახულია 32-ე შენიშვნაში.

(ბ) ბიზნეს გარემო

ქართული ბიზნეს გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფს საქმიანობა უხდება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავაც ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და ხშირად შეცვლას, რაც სხვა სამართლებრივ და საგადასახადო სირთულეებთან ერთად დაბრკოლებას უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს “ჯგუფის” საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს გარემოს გავლენის მენეჯმენტისეულ შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტისეული შეფასებისგან.

2 მომზადების საფუძველი

(ა) განცხადება შესაბამისობის თაობაზე

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (“ფასს”) შესაბამისად.

(ბ) გაანგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით გარდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და მიწისა და შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული თანხით.

(გ) საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც ასახავს მათთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების უმრავლესობის ეკონომიკურ შინაარსს.

გარდა ამისა, ლარი ის ვალუტაა, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები.
ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

(დ) შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების "ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებების გაკეთებას და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც გავლენას ახდენს აღრიცხვის პოლიტიკაზე და აქტივებისა და პასივების, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებაში ასახულ მოცულობებზე. ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებებისა კორექტირებების აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც კორექტირდება სააღრიცხვო შეფასებები, აგრეთვე იმ სხვა მომავალ პერიოდებში, რომლებზეც ეს შეფასებები ახდენს გავლენას.

აღრიცხვის პროცედურების გამოყენებისას შეფასების გაურკვეველობის და კრიტიკული გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ ინფორმაცია შეტანილია შემდეგ შენიშვნებში

- სესხის გაუფასურების შეფასებები – შენიშვნა 16

(ე) ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურებში და ასახვაში

2011 წლის 1-ლი იანვრიდან, ჯგუფმა ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურები შეცვალა შემდეგ სფეროებში:

- ჯგუფმა რეტროსპექტულად გამოიყენა ბასს 24 (გამოქვეყნებულია 2009 წელს) – დაკავშირებული მხარეების ანგარიშგება. ამ ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია დაკავშირებული მხარეების ანგარიშგებაზე;
- ჯგუფმა რეტროსპექტულად გამოიყენა ფასს 7 – ფინანსური ინსტრუმენტები: ანგარიშგება, რომელიც გამოქვეყნებულია 2010 წლის ფასს-ის გაუმჯობესების ფარგლებში. ეს ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია უზრუნველყოფასთან და სხვა საკრედიტო გარანტიებთან, აგრეთვე იმ ხელახლა შეთანხმებულ აქტივებთან, რომლებიც სხვაგვარად ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნებოდა.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურები

ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილი მნიშვნელოვანი პროცედურები ზედმიწევნით გამოიყენება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ და მათ ზედმიწევნით იყენებენ ჯგუფში შემავალი ყველა სუბიექტები, გარდა 2(ე) შენიშვნით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომელშიც განხილურია ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურებში შეტანილი ცვლილებები.

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებსაც აკონტროლებს “ბანკი”. კონტროლი ხორციელდება, როდესაც “ბანკი” უფლებამოსილია დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში კონტროლის ფაქტობრივად დაწყების დღიდან კონტროლის ფაქტობრივად შეწყვეტის დღემდე.

(ii) კონსოლიდაციასთან დაკავშირებით გაუქმებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან, არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშების მომზადების დროს.

(ბ) არასაკონტროლო წილი

არასაკონტროლო წილები შვილობილ კომპანიებში არსებული ის კაპიტალია, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ მიეკუთვნება ბანკს.

არასაკონტროლო წილი ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში წარმოდგენილია კაპიტალში, ბანკის კაპიტალის მფლობელების კუთვნილი კაპიტალისგან ცალკე. არასაკონტროლო წილი მოგებაში ან ზარალში თუ სხვა მთლიან შემოსავალში ცალკე აისახება მთლიანი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

(გ) უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება "ჯგუფის" საწარმოების შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს არსებული გასაცვლის კურსის მიხედვით. ანგარიშების დღეს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და პასივები ხელახლა გადაიყვანება საოპერაციო ვალუტაში, აღნიშნულ დღეს არსებული გადაცვლის კურსის მიხედვით. ფულადი პუნქტების მიხედვით საკურსო მოგება ან ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა პერიოდის დასაწყისში საოპერაციო ვალუტაში ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც კორექტირდება პერიოდის განმავლობაში მოქმედი პროცენტისა და განხორციელებული გადახდების მიხედვით) და საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ სავალუტო კურსით გადაყვანილ უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, გადაიყვანება საოპერაციო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული გადაცვლის კურსით. არაფულადი პუნქტები, რომლებიც იანგარიშება ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, გადაიყვანება ტრანზაქციის დღეს არსებული გადაცვლის კურსის გამოყენებით. ხელახლა გადაყვანის შერდეგად გამოწვეული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება შემოსავალში ან ზარალში გარდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი სავალდო ინსტრუმენტების ან ფულადი ნაკადების კვალიფიციური ჰეჯების ხელახლა გადაყვანით გამოწვეული სხვაობებისა კონვერტაციის შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობებისა, რომლების აღიარებაც ხდება სხვა მთლიან შემოსავალში.

(დ) ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ბანკნოტებს და მონეტებს, სებ-სა და სხვა ბანკებში განთავსებულ შეუზღუდავ სალდოებს (ნოსტრო ანგარიშებს) და სებ-ში განთავსებულ ერთდღიან დეპოზიტებს. სებ-ში დეპონირებული სავალდებულო რეზერვი არ განიხილება ნაღდი ფულის ეკვივალენტად მის გამოტანაზე დაწესებული შეზღუდვების გამო. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) კლასიფიკაცია

მენეჯმენტი ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას ახორციელებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან გაანგარიშებადი გადახდების მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც არ არის აქტიურ ბაზარზე კვლირებული, გარდა იმ აქტივებისა, რომლებსაც ბანკი:

- უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;

- თავდაპირველი აღიარებისთანავე განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით;
- თავდაპირველი აღიარებისთანავე განსაზღვრავს, როგორც სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომს ან,
- სავარაუდოდ ვერ ამოიღებს არსებითად ყველა თავის თავდაპირველ ინვესტიციას, გარდა კრედიტის გაუარესების გამო.

დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები წარმოადგენს ფიქსირებული ან გაანგარიშებადი გადახდებისა და ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, რომელთა დაფარვამდე შენარჩუნებაც ბანკს ნამდვილად სურს და შეუძლია კიდევ გარდა შემდეგი აქტივებისა:

- “ჯგუფი” თავდაპირველი აღიარებისთანავე განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით;
- “ჯგუფი” განსაზღვრავს, როგორც სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომს ან,
- ის აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ სესხებისა და დებიტორული დავალიანებების დეფინიციას.

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ის არა-წარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განისაზღვრება, როგორც სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ან არ კლასიფიცირდება სესხებად და დებიტორულ დავალიანებად, დაფარვამდე დაკავებულ ინვესტიციებად ან ფინანსურ ინსტრუმენტებად სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით.

(ii) აღიარება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხორციელდება მაშინ, როცა “ჯგუფი” ხდება ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მხარე. ფინანსური აქტივების ყველა ჩვეულებრივი შესყიდვების აღრიცხვა ხდება ანგარიშსწორების დღეს.

(iii) შეფასება

თავდაპირველად, ფინანსური აქტივისა თუ პასივის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი თუ პასივი არაა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი, ემატება ის საოპერაციო ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შექმნასთან ან გამოშვებასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, იმ საოპერაციო ხარჯების გამოქვითვის გარეშე, რომლებსაც შეიძლება აღვილი ჰქონდეს აქტივის რეალიზაციისას ან სხვაგვარად განკარგვისას, გარდა:

- იმ სესხებისა და დებიტორული დავალიანებებისა, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით;

- დაფარვამდე დაკავებული იმ ინვესტიციებისა, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით;
- იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებსაც აქტიურ ბაზარზე არა აქვს კოტირებული საბაზრო ღირებულება და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია, შეფასდება თვითღირებულებით.

ყველა ფინანსური დავალიანება, გარდა მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული დავალიანებებისა და იმ ფინანსური დავალიანებებისა, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როცა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი არ აკმაყოფილებს აღიარების გაუქმების მოთხოვნას, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

(iv) ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან პასივის ამორტიზებული ღირებულება ის თანხაა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან პასივი შეფასდა თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირის დაფარვები, პლუს ან მინუს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული კრებსითი ამორტიზაცია თავდაპირველად აღიარებულ თანხასა და დაფარვის თანხას შორის არსებული სხვაობისა, მინუს გაუფასურებასთან დაკავშირებული გამოქვითვა. პრემიები და დისკაუნტები, მათ შორის თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯები, შეიტანება დაკავშირებული ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და მათ ამორტიზაცია ერიცხება ინსტრუმენტის რეალური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(v) სამართლიანი ღირებულებით შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება ის თანხაა, რომელზეც აქტივის გადაცვლა შესაძლებელია ან რომლითაც ვალდებულება შეიძლება დაიფაროს შეფასების დღეს მცოდნე და სურვილის მქონე დამოუკიდებელ მხარეებს შორის გარიგების საფუძველზე.

“ჯგუფი” ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებას განსაზღვრავს მოცემულ ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასებით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ კოტირებული ფასები თავისუფლად და რეგულარულად არის ხელმისაწვდომი და წარმოადგენს ფაქტობრივ და რეგულარულად წარმოებულ საბაზრო ტრანსაქციებს დამოუკიდებელ მხარეებს შორის გარიგების საფუძველზე.

თუ ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარი მოქმედი არ არის, “ჯგუფი” სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების ამგვარი მეთოდები მოიცავს მითითებას მცოდნე და სურვილის მქონე დამოუკიდებელ მხარეთა შორის ახლო წარსულში განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე (მათი არსებობის შემთხვევაში), არსებითად მსგავსი ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო ფასებზე, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზებზე და ოფციური ფასწარმოქმნის მოდელებზე და სხვა მეთოდებზე, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ჩვეულებრივ იყენებენ მოცემული ინსტრუმენტის ფასის განსაზღვრის მიზნით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს საბაზრო რესურსებს, მინიმალურად ეყრდნობა “ჯგუფისთვის” დამახასიათებელ გაანგარიშებებს, ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში, და შეესაბამება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების მიღებულ ეკონომიკურ მეთოდებს. შეფასების მეთოდების რესურსები გონივრულად ასახავს საბაზრო მოლოდინებს და მოცემული ფინანსური ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი რისკებისა და უკუგების ფაქტორების მოცულობებს.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი ანუ გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება, თუ ამ ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იმავე ინსტრუმენტზე დაკვირვებად მიმდინარე საბაზრო გარიგებებთან (ე.ი. მოდიფიკაციის ან გადაფუთვის გარეშე) შედარების საფუძველზე ან იმ შეფასების მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს. როცა გარიგების ფასი უზრუნველყოფს თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას, ფინანსური ინსტრუმენტი ჯერ გარიგების ფასით ფასდება, ხოლო ამ ფასსა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა შემდეგ სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში ინსტრუმენტის საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად დასტურდება დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებით ან გარიგება დაიხურება.

(vi) მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

ფინანსური აქტივისა თუ პასივის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით გამოწვეული ზრდის ან შემცირების აღიარება ხდება შემდეგი წესით:

- სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომ აქტივთან დაკავშირებით ზრდის ან შემცირების აღიარება ხდება კაპიტალში სხვა შემოსავლის სახით (გარდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომ სავალდო ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაუფასურების ზარალისა და საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგებისა თუ ზარალისა) აქტივის აღიარების გაუქმებამდე, რა დროსაც კაპიტალში აღრე აღიარებული კრებსითი ზრდა ან შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომ აქტივთან დაკავშირებული პროცენტი აღიარდება მიღებულ პროცენტად მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და პასივებთან დაკავშირებით, ზრდა ან შემცირება მოგებაში ან ზარალში აღიარდება ფინანსური აქტივის ან პასივის აღიარების გაუქმებისას ან გაუფასურებისას, და ამორტიზაციის პროცესში.

(vii) აღიარების გაუქმება

ფინანსური აქტივის აღიარების გაუქმება ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა “ჯგუფი” გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა “ჯგუფი” არც გაასხვისებს და არც დაიტოვებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ შეინარჩუნებს კონტროლს ამ ფინანსურ აქტივზე. აღიარების გაუქმების უფლების მქონე გასხვისებულ ფინანსურ აქტივზე ჯგუფის მიერ შექმნილი ან შენარჩუნებული ნებისმიერი უფლება თუ ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმებას ახორციელებს მისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას ან გაუქმებისას ან ვადის ამოწურვისას.

“ჯგუფი” ჩამოწერს უიმედოდ მიჩნეული აქტივებს.

(viii) გამოსყიდვისა და უკუგამოსყიდვის ხელშეკრულებები

გაყიდვისა და გამოსყიდვის (რეპო) ხელშეკრულებების საფუძველზე რეალიზებული ფასიანი ქაღალდები აღირიცხება უზრუნველყოფილი ფინანსური გარიგებების სახით. ამ შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდები რჩება ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში და კონტრაგენტის ვალდებულება შეიტანება რეპო გარიგებების საფუძველზე გადასახდელ თანხებში შესაბამისად ან სხვა ბანკების კუთვნილ ბალანსებსა და დეპოზიტებში ან კლიენტების მიმდინარე ანგარიშებში და დეპოზიტებში. გაყიდვისა და გამოსყიდვის ფასებს შორის სხვაობა წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს და აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეპო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უკუ რეპო ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილი ფასიანი ქაღალდები აღირიცხება უკუ რეპო გარიგებების საფუძველზე მისაღებ თანხებად შესაბამისად ან სხვა ბანკებში განთავსებულ სახსრებში ან კლიენტებზე გაცემულ სესხებში. შესყიდვისა და გაყიდვისა ფასებს შორის სხვაობა წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს და აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეპო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უკუ გამოსყიდვის ხელშეკრულებით შექმნილი აქტივების მესამე მხარეებზე გაყიდვის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების დაბრუნების ვალდებულება აღირიცხება სავაჭრო ვალდებულების სახით და მისი ფასი განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით.

(viii) ბალანსის გამოყვანა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის გამოყვანა ხდება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში წმინდა თანხა აღირიცხება, თუ არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლის კანონით აღსრულებადი უფლება და აგრეთვე ვალდებულების მთლიანად დაფარვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა.

(ვ) ქონება და მოწყობილობები

(i) საკუთრებაში არსებული აქტივები

ქონებისა და მოწყობილობის შემადგენელი კომპონენტები ასახულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც ასახულია გადაფასებული თანხებით ქვემოთ აღწერილი სახით.

როცა ესა თუ ის ქონება ან მოწყობილობა შედგება განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე მსხვილი კომპონენტებისგან, ისინი აღირიცხება ცალკე ცალკე ქონებად ან მოწყობილობად.

(ii) გადაფასება

მიწა და შენობა-ნაგებობები ექვემდებარება რეგულარულ გადაფასებას. გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადასაფასებელი მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიან ღირებულებაში მიმდინარე ცვლილებებთან. გადაფასების ზრდა მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე აღიარებულია სხვა შემოსავლის სახით პირდაპირ კაპიტალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ცვლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულ წინა გადაფასების შემცირებას, რა შემთხვევაშიც მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების შემცირება მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ცვლის უშუალოდ კაპიტალში სხვა მთლიანი შემოსავლის სახით აღიარებულ წინა გადაფასების ზრდას, რა შემთხვევაშიც მისი აღიარება ხდება სხვა მთლიან შემოსავალში.

(iii) ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადის მიხედვით. ცვეთა იწყება შესყიდვის დღეს ან ადგილობრივად აშენებულ აქტივებთან დაკავშირებით, აღნიშნული აქტივის დასრულებისა და გამოყენებისთვის მზადყოფნის დღიდან. იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებას ცვეთა ერიცხება მოცემული აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის ან იჯარის ვადის მიხედვით, ამ ორი ვადიდან უმოკლესის ადგილი. სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები	50 წელი
- კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები	5 წელი
- ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
- ავტომანქანები	5 წელი
- იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	2-3 წელი
- სხვა	10 წელი

(iv) არამატერიალური აქტივები

“ჯგუფის” მიერ შექმნილი არამატერიალური აქტივები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

“ჯგუფის” მიერ შექმნილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხორციელდება შესაძენად და კონკრეტული პროგრამის ექსპლუატაციაში მოსაყვანად გაღებული ხარჯების საფუძველზე.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადა შეადგენს 10 წელს.

(v) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება ის ქონებაა, რომელიც განკუთვნილია ან/და საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ზრდისთვის, მაგრამ არა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში რეალიზაციისთვის ან საქონლის წარმოებაში ან საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებაში გამოყენებისთვის ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ღირებულებაში შედის ის ხარჯი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საინვესტიციო ქონების შექმნასთან. ღირებულებაში შედის მასალებისა და პირდაპირი მუშახელის ხარჯი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ხარჯი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის შესაბამის საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონების კომპონენტებს სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადა აქვს, ისინი აღირიცხება საინვესტიციო ქონების სხვადასხვა საგნად (ძირითად კომპონენტებად).

(vi) სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები

არამიმდინარე აქტივები, ან განსაკარგად განკუთვნილი ჯგუფები, რომლებიც მოიცავს აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა ამოღება შესაძლებელია უფრო გაყიდვის და არა მათი შემდგომი გამოყენების გზით, მიეკუთვნება სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივების კატეგორიას. სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივების კატეგორიას უშუალოდ მიეკუთვნებამდე, ამგვარი აქტივები ან სარეალიზაციოდ განკუთვნილი ჯგუფები გადაფასდება “ჯგუფის” ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების მიხედვით. ამის შემდეგ, ამგვარი აქტივების ან სარეალიზაციოდ განკუთვნილი ჯგუფების ფასი განისაზღვრება შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დაბალი ღირებულებით: საბალანსო ღირებულება ან სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

(vii) დასაკუთრებული აქტივები

“ჯგუფი” დასაკუთრებული აქტივების აღიარებას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როცა ის მიიღებს უზრუნველყოფის ობიექტის განკარგვის სრულ და საბოლოო უფლებას და უზრუნველყოფის ობიექტის რეალიზაციიდან მიღებული ნამეტის თავისთვის დატოვების უფლებას.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება ხორციელდება შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დაბალი ღირებულებით: საბალანსო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარებისას, დასაკუთრებული აქტივების შეფასება ხორციელდება ვადაში დაუფარავი სესხის ღირებულების, მათ შორის უზრუნველყოფის ობიექტის დასაკუთრებისას გაწეული ხარჯის გათვალისწინებით. სამართლიანი ღირებულება, რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით, წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფის ობიექტის საანგარიშო სარეალიზაციო ფასს, რომელსაც აკლდება შესაბამისი რეალიზაციის ხარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაკუთრებული აქტივები განიხილება მათი რეალიზაციისთვის განკუთვნილი აქტივების კატეგორიისთვის მიკუთვნების მიზნით და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში კლასიფიცირდება შესაბამისად.

დასაკუთრებული აქტივები შეიტანება სხვა აქტივებში.

დასაკუთრებული აქტივების განკარგვით მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება წმინდად მოგებაში ან ზარალში არსებულ “სხვა საოპერაციო შემოსავლის” განყოფილებაში.

(ზ) გაუფასურება

(დ) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ძირითადად შედგება სესხებისა და სხვა მისაღები სახსრებისგან (“სესხები და სხვა მისაღები სახსრები”). “ჯგუფი” რეგულარულად განიხილავს სესხებსა და მისაღებ სახსრებს გაუფასურების განსაზღვრის მიზნით. სესხის ან მისაღები სახსრების გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმ გაუფასურების დადგომის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც გამომწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა სესხის ან მისაღები სახსრების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია სესხის მომავალი პერიოდის სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ გაანგარიშებაც შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობის ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, სესხის რესტრუქტურისა ან ავანსის გაცემას ისეთი პირობებით, რომლებსაც “ჯგუფი” სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდები გაკოტრდება, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული სხვა შესამჩნევი მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მანქანებელში უარყოფითი ცვლილებებს, ან ეკონომიკური ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

პირველ რიგში, “ჯგუფი” განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად სესხებისა და მისაღები სახსრებისთვის, რომლებიც ცალკე-ცალკე მნიშვნელოვანია, და ცალკე-ცალკე ან ერთობლივად სესხებისა და მისაღები სახსრებისთვის, რომლებიც ცალკე-ცალკე არაა მნიშვნელოვანი. იმ შემთხვევაში, თუ “ჯგუფი” დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული სესხისა და მისაღები თანხისთვის (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა), მას აღნიშნული სესხი შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებისა და მისაღები სახსრების ჯგუფში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად შეფასებული სესხები და მისაღები სახსრები, რომლებთან დაკავშირებითაც გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება და გრძელდება, გაუფასურების ერთობლივი შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მისაღებ თანხასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მისაღები თანხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მისაღები თანხის, მათ შორის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და მიმდინარე ეკონომიკური პირობების ამსახველი შესაბამისი შესამჩნევი მონაცემების საფუძველზე დაკორექტირებული ისტორიული ზარალი.

ზოგ შემთხვევაში, სესხზე ან მისაღებ თანხაზე დამდგარი გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრისთვის აუცილებელი შესამჩნევი მონაცემები შეზღუდულია ან სრულად აღარ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელს აქვს ფინანსური პრობლემები და მსგავსი მსესხებლების შესახებ ხელმისაწვდომი ისტორიული მონაცემები მცირეა. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით “ჯგუფი” ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას.

სესხებთან და მისაღებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე და იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოღებადი თანხის შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

როცა სესხის ამოღება შეუძლებელია, მისი ჩამოწერა ხდება სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. “ჯგუფი” სესხის ნაშთის (და სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვის) ჩამოწერას ახორციელებს მაშინ, როცა მენეჯმენტი დაადგენს, რომ სესხის ამოღება შეუძლებელია და სესხის ამოსაღებად აუცილებელი ყველა ზომა გატარებულია.

(ii) თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომ იმ აქტივებში შეტანილ არაკოტირებულ წილობრივ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით იმის გამო, რომ მათი სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება ამგვარი ინსტრუმენტების გაუფასურების თაობაზე, გაუფასურების ზარალი იანგარიშება როგორც სხვაობა ინვესტიციის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივისთვის მიმდინარე საბაზრო შემოსავლიანობის ნორმით დისკონტირებულ მომავალი საანგარიშო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

ამ ინვესტიციებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება შემოსავალში ან ზარალში და დაუშვებელია მათი შეცვლა.

(iii) სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების აღიარება ხდება სხვა მთლიან შემოსავალში აღიარებული კრებსითი ზარალის მოგებაში ან ზარალში გადატანით, რეკლასიფიკაციის კორექტირების ფარგლებში. სხვა მთლიან შემოსავლიდან შემოსავალში ან ზარალში გადატანილი კრებსითი ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებას (თავდაპირველი დაფარვისა და ამორტიზაციის გამოქვითვით) და სამართლიან ღირებულებას (მოგებაში ან ზარალში მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით) შორის. დროებითი ღირებულებით გაუფასურების რეზერვებში გამოწვეული ცვლილებები აისახება საპროცენტო შემოსავლის შემადგენელი ნაწილის სახით.

თუ შემდგომ პერიოდში სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ვალის გაუფასურებული უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება გაიზარდა და ეს ზრდა ობიექტურად დაკავშირებულია მოგებაში ან ზარალში გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ დამდგარ მოვლენასთან, გაუფასურების ზარალი კორექტირდება და კორექტირების თანხა აიღება მოგებაში ან ზარალში. ამასთან, სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი გაუფასურებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ამოღება აღიარდება სხვა მთლიან შემოსავალში.

(iv) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, “ჯგუფის” სხვა არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განისაზღვრება თითოეულ ანგარიშგების დღეს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშანი. აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენებითი ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახისიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

(თ) საკრედიტო ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, “ჯგუფი” კისრულობს საკრედიტო ვალდებულებებს, რომლებშიც შედის: აუთვისებელი სასესხო ვალდებულებები, აკრედიტივები და გარანტიები, და უზრუნველყოფს სხვა ფორმის სესხის დაზღვევებს.

ფინანსური გარანტიები ის ხელშეკრულებებია, რომლებიც “ჯგუფს” ავალდებულებს განახორციელოს კონკრეტული თახების გადახდა გარანტიის მფლობელისთვის იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მას მიაღებება კონკრეტული მოვალის მიერ თანხის დადგენილ დროს, სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადაუხდელობის შედეგად.

თავდაპირველად ფინანსური გარანტიის ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოქვითვით. ფინანსური გარანტიის ვალდებულება იანგარიშება, როგორც შემდეგი ორი თანხიდან უფრო მაღალი თანხა: თავდაპირველად აღიარებული თანხა დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით ან საგარანტიო ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი ზარალის რეზერვის თანხა. ფინანსური გარანტიების ფარგლებში გამოყოფილი ზარალის რეზერვებისა და სხვა საკრედიტო ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, როცა დანაკარგები შესაძლოდ მიიჩნევა და სარწმუნოდ განისაზღვრება.

ფინანსური გარანტიის ვალდებულებები და სხვა საკრედიტო ვალდებულებების რეზერვები აისახება სხვა ვალდებულებებში.

(ი) საწესდებო კაპიტალი

(i) ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები მიეკუთვნება კაპიტალს.

(ii) პრემია აქციებზე

პრემია აქციებზე იანგარიშება გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებასა და ამავე აქციებზე გადახდილ თანხას შორის სხვაობის სახით.

(iii) დივიდენდები

“ჯგუფის” მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის შესაძლებლობა ექვემდებარება საკართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდები აისახება გამოცხადების პერიოდში გაუნაწილებელი მოგების ასიგნების სახით.

(კ) დაბეგვრა

საშემოსავლო გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული

გადასახადებისგან. საშემოსავლო გადასახადის აღიარება ხდება შემოსავალში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაკავშირებულია სხვა მთლიანი შემოსავლის პუნქტებთან ან უშუალოდ კაპიტალში აღიარებულ აქციონერებთან განხორციელებულ გარიგებებთან, რა დროსაც მისი აღიარება ხდება სხვა მთლიან შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი გადასახადი დაბეგვრად შემოსავალზე წლის განმავლობაში, დადგენილი ან ანგარიშგების დღეს ფაქტობრივად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, და წინა წლებთან დაკავშირებით ნებისმიერი გადასახადი გადასახადის შესწორებით.

გადავადებული გადასახადი ასახულია ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებებსა და გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების გათვალისწინებით. გადავადებული გადასახადი არ აღიარდება შემდეგ დროებით სხვაობებთან დაკავშირებით: აქტივებისა და პასივების თავდაპირველი აღიარებიდან გამომდინარე ის დროებით სხვაობები, რომლებიც გავლენას არ ახდენს არც აღრიცხვზე და არც დასაბეგრ მოგებაზე, და ის დროებითი სხვაობები, რომლებიც დაკავშირებულია იმ შვილობილ საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებთან, სადაც სათაო კომპანია აკონტროლებს დროებითი სხვაობების კორექტირების დროს და არსებობს იმის ალბათობა, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ შეიცვლება. გადავადებული გადასახადის თანხის გაანგარიშება ხდება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია დროებითი სხვაობების კორექტირების დროს, ანგარიშგების დღეს ფაქტობრივად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება იმ პირობით, რომ შესაძლოა არსებობდეს სამომავლო დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაში შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და ჩათვლების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები შემცირდება იმ ზომით, რომ მეტად აღარ იქნება შესაძლებელი შესაბამისი საგადასახადო შეღავათით სარგებლობა.

(ლ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება შემოსავალში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის დამტკიცების საკომისიოები, სესხის მომსახურების საკომისიოები და სხვა საკომისიოები, რომლებიც განსაზღვრავს სესხის საერთო მომგებიანობას, შესაბამის საოპერაციო ხარჯებთან ერთად, გადავადდება და ექვემდებარება ამორტიზაციის დარიცხვას საპროცენტო შემოსავალზე ფინანსური ინსტრუმენტის საექსპლუატაციო პერიოდში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა საკომისიოები და სხვა შემოსავალი და ხარჯი შემოსავალში ან ზარალში აიღება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

სს “ბაზისბანკი”

*2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე
თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს
ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს*

საიპერაციო იჯარის საფუძველზე განხორციელებული გადახდები შემოსავალში
ან ზარალში აიღება იჯარის პერიოდში სწორსაზოვანი მეთოდით. მიღებული
საიჯარო შეღავათები აღიარდება იჯარის პერიოდში მთლიანი საიჯარო ხარჯის
შემადგენელი ნაწილის სახით.

(მ) ბუღალტრული აღრიცხვის ჯერ კიდევ მიუღებელი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

მოელი რიგი ახალი სტანდარტები, სტანდარტების და განმარტებების ცვლილებები ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გამოიყენება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებისას. ქვემოთ მითითებული სიახლეები სავარაუდოდ გავლენას მოახდენს “ჯგუფის” ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობაზე. “ჯგუფს” აპირებს ამ სიახლეების გამოყენებას, როცა ისინი ძალაში შევა.

- ფასს 9 – “ფინანსური ინსტრუმენტები” (ძალაში შედის 2015 წლის 1-ლი იანვრით ან მას შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტი გამოიცემა რამდენიმე ეტაპად (ნაწილად) და შეცვლის ბასს 39-ს – “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”. ფასს 9-ის პირველი ეტაპი (ნაწილი), რომელიც 2009 წლის ნოემბერში გამოიცა, დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან. მეორე ეტაპი (ნაწილი), რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან, გამოქვეყნდა 2010 წლის ოქტომბერში. ამ სტანდარტის დანარჩენი ნაწილები გამოქვეყნდება 2012 წლის განმავლობაში. “ჯგუფი” აღიარებს, რომ ამ ახალი სტანდარტით მრავალი ცვლილება შედის ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში და რომ მათ სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე. ამ ცვლილებების ზეგავლენა გაანალიზდება პროექტის მოქმედების პერიოდში, სტანდარტის შემდგომი ნაწილების გამოქვეყნების კვალობაზე. “ჯგუფი” არ აპირებს ამ სტანდარტის ადრეულ ეტაპზე გამოყენებას.
- ფასს 10 – *ნაერთი ფინანსური ანგარიშები* – ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ეს ახალი სტანდარტი ცვლის ბასს 27-ს (“ნაერთი და ცალკეული ფინანსური ანგარიშები” და SIC-12-ს “კონსოლიდაცია – სპეციალური დანიშნულების სუბიექტები”).

- გათვალისწინებულ კონტროლთან და კონსოლიდაციასთან დაკავშირებულ ყველა სახელმძღვანელო მითითებას. ფასს 10-ით იცვლება კონტროლის განსაზღვრება ისე, რომ იგივე კრიტერიუმში ვრცელდება ყველა სუბიექტზე კონტროლის განსაზღვრის მიზნით. ამ ეტაპზე, ბანკი აფასებს შეცვლილი სტანდარტის ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე. ფასს 10 ითვალისწინებს ერთიანი კონტროლის მოდელს, რომელიც მოიცავს იმ სუბიექტებს, რომლებიც ამჟამად SIC-12-ის რეგულირების სფეროში შედის. ამ ახალი სამსაფეხურიანი კონტროლის მოდელის მიხედვით, ინვესტორი იმ საწარმოს, რომელშიც ინვესტიცია ჩაიდო, აკონტროლებს იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს ხელი მიუწვდენა ან აქვს უფლებები მისი ხსენებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციებიდან ცვლად უკუგებებზე, აქვს უნარი ხსენებულ საწარმოზე თავისი უფლებამოსილებით გავლენა იქონიოს ამ უკუგებებზე და არსებობს კავშირი უფლებამოსილებასა და უკუგებებს შორის. კონსოლიდაციის პროცედურები გადაიტანება იას 27-დან (2008). თუ ფასს 10-ის მიღება არ იწვევს წინა ინვესტიციის მიმღები საწარმოს კონსოლიდაციის ან არა-კონსოლიდაციის ცვლილებას, თავდაპირველი გამოყენებისას აღრიცხვაში კორექტირების განხორციელება აუცილებელი არ არის. თუ ფასს 10-ის მიღება იწვევს წინა ინვესტიციის მიმღები საწარმოს კონსოლიდაციის ან არა-კონსოლიდაციის ცვლილებას, ახალი სტანდარტი შეიძლება მიღებულ იქნას ან კონტროლის ხელშე აღების ან დაკარგვის დღიდან სრული რეტროსპექტული ეფექტით ან, თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, არასრული რეტროსპექტული ეფექტით იმ უადრესი პერიოდის დასაწყისიდან, საიდანაც სტანდარტის გამოყენება შესაძლებელია, რაც მიმდინარე პერიოდი შეიძლება იყოს. ფასს 10-ის ნაადრევად მიღება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი ნაადრევად მიიღებს ფასს 11-ს, ფასს 12-ს, ბასს 27-ს (2011) და ბასს 28-ს (2011).
- ფასს 12 – სხვა სუბიექტებში წილის დეკლარირება** – ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ეს ახალი სტანდარტი გამოიყენება იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც ფლობენ წილს შვილობილ კომპანიაში, ერთობლივ გარიგებაში, ასოცირებულ კომპანიაში ან არაკონსოლიდირებულ სუბიექტში. ამ სტანდარტით იცვლება ბასს 28-ით (“ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში”) ამჟამად გათვალისწინებული დეკლარირების მოთხოვნები. წილები ფართოდ განიმარტება, როგორც სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო მონაწილეობა, რომლის შედეგადაც ერთი სუბიექტის უკუკება იცვლება მეორე სუბიექტის საქმიანობის შედეგების გამო. დეკლარირების ამ გავრცობილი და ახალი სტანდარტით სუბიექტებს მოეთხოვებათ თავიანთ ფინანსურ ანგარიშში ასახონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშის მკითხველს ეხმარება სუბიექტის სხვა სიბიექტში არსებული წილების ხასიათის, რისკებისა და ფინანსური შედეგების შეფასებაში, აგრეთვე იმის შეფასებაში, თუ რა გავლენას ახდენს ეს წილები სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სუბიექტებმა შეიძლება ადრეულ ეტაპზევე მოამზადონ ფასს 12-ით გათვალისწინებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიშები სხვა ახალი და შეცვლილი სტანდარტების ადრეულად მიღების გარეშე. ამასთან, ფასს 12-ის ადრეულ ეტაპზე სრულად მიღების შემთხვევაში, სავალდებულოა ფასს 10-ის, ფასს 11-ის, ბასს 27-ის (2011) და ბასს 28-ის (2011) ადრეულ ეტაპზე მიღება.

- ფასს 13** – სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება – ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ეს ახალი სტანდარტი სამართლიანი ღირებულებით ასახვასთან დაკავშირებით ცალკეულ ფასს-ებში ასახულ მითითებებს ცვლის სამართლიანი ღირებულებით ასახვის მითითებების ერთიანი წყაროთი. ამ სტანდარტში მოცემულია სამართლიანი ღირებულების რედაქტირებული განმარტება, ადგენს სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების მექანიზმს და აწესებს გაანგარიშებული სამართლიანი ღირებულების ანგარიშგების მოთხოვნებს. ფასს 13 არ ადგენს ახალ მოთხოვნებს აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ფასს 13 არ გამორიცხავს სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებასთან დაკავშირებულ იმ პრაქტიკულ გამოწვევებს, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე არსებობს ზოგიერთ სტანდარტში. ეს სტანდარტი გამოიყენება რეტროსპექტულად და მისი ადრეულ ატაპზე გამოყენება ნებადართულია. ინფორმაცია შედარებით ანგარიშგების შესახებ არ მოითხოვება თავდაპირველი აღიარების დღის შემდეგ დამდგარი პერიოდების შემთხვევაში.
- ცვლილებები ბასს 1-ში – *ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა: სხვა მთლიანი შემოსავლის პუნქტების წარმოდგენა*. აღნიშნული ცვლილებებით იცვლება სხვა ერთიან შემოსავალში წარმოდგენილი პუნქტები. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით სუბიექტებმა სხვა ერთიან შემოსავალში წარმოდგენილი პუნქტები ორ ჯგუფად უნდა დაყონ იმის მიხედვითისთვის მიკუთვნება. გარდა ამისა, ამ ცვლილებით ბასს 1-ით გამოყენებული სახელწოდება (მთლიანი შემოსავლის ანგარიში) შეიცვალა შემდეგი სახელწოდებით: “მოგების ან ზარალის ანგარიში და სხვა მთლიანი შემოსავალი”. ამასთან, სხვა სახელწოდებების გამოყენებაც ნებადართულია. ეს ცვლილება გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად 2012 წლის 1-ლი ივლისიდან, თუმცა მისი უფრო ადრე გამოყენებაც ნებადართულია.

ფასს-ში შეტანილი სხვადასხვა გაუმჯობესება განხილულია თითოეული სტანდარტის მიხედვით. ყველა ცვლილება, რომლებიც იწვევს სააღრიცხვო ცვლილებებს ანგარიშგებასთან, აღიარებასთან ან გაანგარიშებასთან დაკავშირებით, ამოქმედდება არაუადრეს 2012 წლის 1-ლი იანვრისა. ჯგუფს ჯერ არ გაუანალიზებია ამ გაუმჯობესებების სავარაუდო გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე.

4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი		
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	1,216	-
ბანკებში განთავსებული სახსრები	222	137
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,859	12,788
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები	182	491
	14,479	13,416
საპროცენტო ხარჯი		
სხვა ბანკების კუთვნილი დეპოზიტები და სახსრები	(107)	(50)
გამოსყიდვის ხელშეკრულებებით გადასახდელი თანხები	(628)	(103)
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	(5,212)	(5,588)
სუბორდინირებული ნასესხები სახსრები	(114)	-
სხვა ნასესხები სახსრები	(863)	(865)
	(6,924)	(6,606)
	7,555	6,810

5 საკომისიო შემოსავლები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
გაცემული სესხები	1,245	1,094
საკომისიო პლასტიკურ ბარათებზე	959	933
ანგარიშსწორების საკომისიო	658	558
საკომისიო ანგარიშებისა და საკასო ოპერაციების წარმოებაზე	498	458
სხვა	245	227
	3,605	3,270

6 საკომისიო ხარჯები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
საკომისიო პლასტიკურ ბარათებზე	958	980
ანგარიშსწორების საკომისიო	223	202
სხვა	366	352
	1,547	1,534

7 წმინდა საკურსო შემოსავალი

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
მოგება ნაღდი ანგარისწორებით განხორციელებული გარიგებებიდან	1,887	1,754
ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასებით მიღებული წაგება	(81)	-
	1,806	1,754

8 სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
მიღებული ჯარიმები და პირგასამტეხლოები	1,145	1,142
გადახდილი ჯარიმები და პირგასამტეხლოები	(32)	(55)
დასაკუთრებული აქტივების და საინვესტიციო ქონების განკარგვიდან მიღებული მოგება	457	423
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივების განკარგვიდან მიღებული მოგება	366	-
სხვა	115	96
	2,051	1,606

9 გაუფასურების ზარალი

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,169	(1,228)
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები	-	577
სხვა აქტივები	(150)	1,751
	1,019	1,100

10 პერსონალის ხარჯები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
პერსონალის შრომის ანაზღაურება	3,981	3,998
გადასახადები ხელფასებზე	995	1,000
	4,976	4,998

11 სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ცვეთა და ამორტიზაცია	1,250	1,136
პროფესიული მომსახურება	564	490
დაცვა	458	462
იჯარა	356	540
რეკლამა და მარკეტინგი	289	304
გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა	206	167
საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურება	172	154
საკანცელარიო საქონელი	126	119
რემონტი და ტექნომსახურება	55	49
დაზღვევა	40	28
მგზავრობა და ტრენინგი	30	12
სხვა	410	277
	3,956	3,738

12 საშემოსავლო გადასახადის ხარჯი

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	-	-
გადავადებული გადასახადების მოძრაობა დროებითი სხვაობების წარმოშობისა და კორექტირებების გამო	(414)	(286)
მთლიანი საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	(414)	(286)

2011 წელს მიმდინარე და გადავადებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს (2010: 15%).

მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეთავსება:

	2011 ლარი'000	%	2010 ლარი'000	%
მოგება გადასახადების გადახდამდე	3,519		2,070	
საშემოსავლო გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	528	15%	311	15%
დაუბეგრავი შემოსავალი	(114)	(3%)	(25)	(1%)
	414	12%	286	14%

(ა) გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამჟამად ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის წარმოდგენილ საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ ღირებულებებს შორის არსებული დროებითი სხვაობები იწვევს წმინდა გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს 2011 წლისა და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2011 წლისა და 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდებში დროებითი სხვაობების დინამიკა წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში.

ლარი'000	ბალანსი 2011 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	აღიარებულია შემოსავალში	აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში	ბალანსი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	-	-	(40)	(40)
ქონება და მოწყობილობა	(1,410)	(546)	-	(1,956)
სხვა აქტივები	734	(117)	-	617
სხვა ვალდებულებები	59	(1)	-	58
გადატანილი საგადასახადო ზარალი	66	250	-	316
	(551)	(414)	(40)	(1,005)

ლარი'000	ბალანსი 2010 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	აღიარებულია შემოსავალში	აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში	ბალანსი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კლიენტებზე გაცემული სესხები	(143)	143	-	-
ქონება და მოწყობილობები	(1,495)	115	(30)	(1,410)
სხვა აქტივები	450	284	-	734
სხვა ვალდებულებები	47	12	-	59
გადატანილი საგადასახადო ზარალი	906	(840)	-	66
	(235)	(286)	(30)	(551)

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადატანილი საგადასახადო ზარალი შეადგენს 316 ათას ლარს (2010 წელს: 66 ათას ლარს). ამ ზარალიდან, 250 ათასი ლარის ვადა იწურება 2014 წელს.

(ბ) სხვა ერთობლივ შემოსავალში აღიარებული საშემოსავლო გადასახადი

31 დეკემბრის დასრულებული წლის სხვა ერთობლივი შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული გადასახადის შედეგები შემდეგია:

ლარი'000	2011		2010	
	თანხა გადასახადის საგადასახადო გადახდამდე	თანხა ხარჯი გარეშე	თანხა გადასახადის საგადასახადო გადახდამდე	თანხა ხარჯი გარეშე

სს “ბაზისბანკი”

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე
თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს
ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	267	(40)	227	-	-	-
ქონებისა და მოწყობილობების გადაფასება	-	-	-	203	(30)	173
სხვა ერთობლივი შემოსავალი	267	(40)	227	203	(30)	173

13 საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
სავალდებულო მინიმალური რეზერვის ანაბარი	9,568	3,610
ნოსტრო ანგარიშები	2,160	14,373
ერთდღიანი დეპოზიტი	1,400	-
	13,128	17,983

სავალდებულო მინიმალური რეზერვის ანაბარი წარმოადგენს უცხოურ ვალუტაში არსებულ პროცენტთან ანაბარს, რომელიც იანგარიშება სებ-ის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად და რომლის გამოტანაზეც დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები. ნოსტრო ანგარიშები წარმოადგენს სებ-ში არსებულ ნაშთებს, რომლებიც დაკავშირებულია ანგარიშსწორების საქმიანობასთან და ხელმისაწვდომი იყო გამოსატანად წლის ბოლოს. ერთდღიანი დეპოზიტი არის ერთდღიანი ანაბარი სებ-თან, რომლის გამოტანაზეც რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ არის.

14 სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ნოსტრო ანგარიშები		
- AA- - AA+ რეიტინგის მქონე	463	758
- A- - A+ რეიტინგის მქონე	5,860	442
- Aa3 რეიტინგის მქონე	-	2,352
- BBB- რეიტინგის მქონე	30	-
- BB- to BB+ რეიტინგის მქონე	8	-
- B+ ზე დაბალი რეიტინგის მქონე	74	232
- არაკლასიფიცირებული	112	1,064
სულ ნოსტრო ანგარიშები	6,547	4,848
დეპოზიტები და სხვა ავანსები ბანკების მიმართ		
- AA- - AA+ რეიტინგის მქონე	-	342
- BBB- რეიტინგის მქონე	117	-
- არაკლასიფიცირებული	3,241	-
სულ დეპოზიტები და სხვა ავანსები ბანკების მიმართ	3,358	342
	9,905	5,190

ბანკებში განთავსებული სახსრებიდან არცერთი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. ზემოთ წარმოდგენილი რეიტინგები მომზადებულია Fitch რეიტინგის სააგენტოს რეიტინგის შესაბამისად.

ბანკების მიმართ არსებულ დეპოზიტებში და სხვა ავანსებში შეტანილია 117 ათასი ლარი (2010 წელს: 342 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებისთვის დაბლოკილ დეპოზიტს.

2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, "ბანკს" ჰყავდა ორი ბანკი, რომელთა ნაშთები აღემატებოდა კაპიტალის 10%-ს. 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ საღდოების ერთობლივი ღირებულება შეადგენს 8 453 ათას ლარს (2010 წელს: 2 352 ლარი).

15 სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ჯგუფის მფლობელობაში არსებული		
სავალო და სხვა ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტები		
საქართველოს მთავრობის სახაზინო ვექსილები	6,612	-
საქართველოს მთავრობის სახაზინო ობლიგაციები	4,739	-
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	2,962	-
	14,313	-
სავალო ინსტრუმენტები – არაკოტირებული		
კორპორატიული წილები	63	63
	14,376	63
გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებებით დაგირავებული		
სავალო და სხვა ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტები		
საქართველოს მთავრობის სახაზინო ვექსილები	3,705	-
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	1,990	-
	5,695	-

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული არ არის.

გაანგარიშებადი სამართლიანი ღირებულების არმქონე ინვესტიციები

თვითღირებულებით აღრიცხული სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები შედგება საქართველოს ფინანსური მომსახურების სექტორში არაკოტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან. ამ ინვესტიციების ბაზარი არ არსებობს და ამ ბოლო დროს არ განხორციელებულა რაიმე ტრანზაქცია, რომლითაც დადასტურდებოდა მიმდინარე სამართლიანი ღირებულება. გარდა ამისა, ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდებით მივდივართ სამართლიანი ღირებულებების ფართო სფეროში, რაც გამოწვეულია ამ სექტორში სამომავლო ფულად ნაკადებთან დაკავშირებული გაურკვევლობით.

16 კლიენტებზე გაცემული სესხები

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	33,414	31,913
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	27,022	19,373
საკრედიტო ბარათები	6,429	6,607
ავტო სესხები	1,065	1,104
სხვა სამომხმარებლო სესხები	7,814	7,201
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები სესხები	42,330	34,285

კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	75,744	66,198
სესხის გაუფასურების რეზერვი	(3,480)	(2,222)

კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	72,264	63,976
---	---------------	---------------

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის დინამიკა სესხის სახეების მიხედვით შემდეგია:

	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები ლარი'000	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები ლარი'000	სულ ლარი'000
საღლო წლის დასაწყისში	1,005	1,217	2,222
წმინდა დარიცხვა	754	415	1,169
(ჩამოწერილი სესხები)/ამოღებული სესხები	(129)	218	89
საღლო წლის ბოლოს	1,630	1,850	3,480

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის გაუფასურების რეზერვის დინამიკა კლიენტებზე გაცემული სესხების სახეების მიხედვით შემდეგია:

	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები ლარი'000	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები ლარი'000	სულ ლარი'000
საღლო წლის დასაწყისში	2,154	1,078	3,232
წმინდა გაუქმება	(536)	(692)	(1,228)
(ჩამოწერილი სესხები)/ამოღებული სესხები	(613)	831	218
საღლო წლის ბოლოს	1,005	1,217	2,222

(ა) კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია ინფორმაცია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ:

	მილიანი სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	წმინდა სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მილიან სესხებთან %
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები				
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე:				
- არა ვადაგადაცილებული	27,507	669	26,838	2.4%
- საყურადღებო სესხები	777	15	762	1.9%
გაუფასურებული სესხები:				
- არა ვადაგადაცილებული	2,416	286	2,130	11.8%
- ვადაგადაცილებული არაუმეტეს 90 დღით	2,026	424	1,602	20.9%
- ვადაგადაცილებული არაუმეტეს 90-ზე უფრო მეტი დღით, მაგრამ არა 1 უმეტეს 1 წლისა	656	212	444	32.3%
- ვადაგადაცილებულია 1 წელზე მეტად	32	24	8	75.0%
ულ გაუფასურებული სესხები	5,130	946	4,184	18.4%
ულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	33,414	1,630	31,784	4.9%
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები				
- არავადაგადაცილებული	24,977	900	24,077	3.6%
- ვადაგადაცილებული 30-ზე ნაკლები დღით	1,310	67	1,243	5.1%
- ვადაგადაცილებული 30-89 დღით	314	76	238	24.2%
- ვადაგადაცილებული 90-179 დღით	265	67	198	25.3%
- ვადაგადაცილებული 180-360 დღით	128	38	90	29.7%
- ვადაგადაცილებული 360-ზე მეტი დღით	28	8	20	28.6%
სულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	27,022	1,156	25,866	4.3%
საკრედიტო ბარათები				
- არავადაგადაცილებული	6,258	158	6,100	2.5%
- ვადაგადაცილებული 30-ზე ნაკლები დღით	65	33	32	50.8%
- ვადაგადაცილებული 30-89 დღით	60	49	11	81.7%
- ვადაგადაცილებული 90-179 დღით	7	7	-	100.0%
- ვადაგადაცილებული 180-360 დღით	27	25	2	92.6%
- ვადაგადაცილებული 360-ზე მეტი დღით	12	11	1	91.7%
სულ საკრედიტო ბარათები	6,429	283	6,146	4.4%
აგტო სესხები				
- არავადაგადაცილებული	987	23	964	2.3%
- ვადაგადაცილებული 30-ზე ნაკლები დღით	23	2	21	8.7%
- ვადაგადაცილებული 30-89 დღით	28	8	20	28.6%
- ვადაგადაცილებული 90-179 დღით	19	6	13	31.6%
- ვადაგადაცილებული 180-360 დღით	8	8	-	100.0%
სულ აგტო სესხები	1,065	47	1,018	4.4%

სს “ბაზისბანკი”

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამჟამად ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

	მთლიანი სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	წმინდა სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან %
სხვა სამომხმარებლო სესხები				
- არაგადაგადაცილებული	7,413	340	7,073	4.6%
- გადაგადაცილებული 30-ზე ნაკლები დღით	352	10	342	2.8%
- გადაგადაცილებული 30-89 დღით	42	11	31	26.2%
- გადაგადაცილებული 90-179 დღით	7	3	4	42.9%
სულ სხვა სამომხმარებლო სესხები	7,814	364	7,450	4.7%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	42,330	1,850	40,480	4.4%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	75,744	3,480	72,264	4.6%

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია ინფორმაცია 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ:

	მთლიანი სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	წმინდა სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან %
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები				
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე:				
- არა გადაგადაცილებული	27,279	612	26,667	2.2%
- საყურადღებო სესხები	795	16	779	2.0%
გაუფასურებული სესხები:				
- არა გადაგადაცილებული	2,118	124	1,994	5.9%
- გადაგადაცილებულია არაუმეტეს 90 დღით	1,235	122	1,113	9.9%
- გადაგადაცილებულია არაუმეტეს 90-ზე უფრო მეტი დღით, მაგრამ არა 1 უმეტეს 1 წლისა	486	131	355	27.0%
სულ გაუფასურებული სესხები	3,839	377	3,462	9.8%
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	31,913	1,005	30,908	3.1%

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავ ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

	მთლიანი სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	წმინდა სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან %
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები				
- არაფადაგადაცილებული	17,593	649	16,944	3.7%
- ფადაგადაცილებული 30-ზე ნაკლები დღით	868	39	829	4.5%
- ფადაგადაცილებული 30-89 დღით	727	67	660	9.2%
- ფადაგადაცილებული 90-179 დღით	185	48	137	25.9%
სულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	19,373	803	18,570	4.1%
საკრედიტო ბარათები				
- არაფადაგადაცილებული	6,461	139	6,322	2.2%
- ფადაგადაცილებული 30-ზე ნაკლები დღით	69	6	63	8.7%
- ფადაგადაცილებული 30-89 დღით	62	23	39	37.1%
- ფადაგადაცილებული 90-179 დღით	15	7	8	46.7%
საკრედიტო ბარათები	6,607	175	6,432	2.6%
საკრედიტო ბარათები				
- არაფადაგადაცილებული				
- ფადაგადაცილებული 30-ზე ნაკლები დღით	1,057	22	1,035	2.1%
- ფადაგადაცილებული 30-89 დღით	19	1	18	5.3%
- ფადაგადაცილებული 90-179 დღით	25	5	20	20.0%
საკრედიტო ბარათები	3	1	2	33.3%
სულ ავტო სესხები	1,104	29	1,075	2.6%
სხვა სამომხმარებლო სესხები				
- არაფადაგადაცილებული	6,947	190	6,757	2.7%
- ფადაგადაცილებული 30-ზე ნაკლები დღით	201	6	195	3.0%
- ფადაგადაცილებული 30-89 დღით	40	8	32	20.0%
- ფადაგადაცილებული 90-179 დღით	13	6	7	46.2%
სულ სხვა სამომხმარებლო სესხები	7,201	210	6,991	2.9%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	34,285	1,217	33,068	3.5%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	66,198	2,222	63,976	3.4%

(ბ) სესხის გაუფასურების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მოსაზრებები

(i) იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები

სესხის გაუფასურება გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა სესხის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია სესხის მომავალი პერიოდის სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ გაანგარიშებაც შესაძლებელია. გაუფასურების ინფივიდუალური ნიშნების არმქონე სესხებთან დაკავშირებით არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმ გაუფასურების თაობაზე, რომელიც შეიძლება უშუალოდ მას მიეწეროს.

სესხის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს შემდეგს:

- სასესხო ხელშეკრულებების საფუძველზე თანხების დაფარვის ვადის გადაცილება;
- მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაში არსებული მნიშვნელოვანი სირთულეები;
- ბიზნეს-გარემოს გაუარესება, მსესხებლის ბაზრებზე მომხდარი უარყოფითი ცვლილებები.

“ჯგუფს” იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი გაანგარიშებული აქვს გაუფასურებულ სესხებთან დაკავშირებით სამომავლო ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე და იმ სესხების პორტფელის წარსული ზარალის გამოცდილების საფუძველზე, რომლებთან დაკავშირებითაც არ გამოვლენილა გაუფასურების ნიშანი.

იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშებისას, მენეჯმენტმა გამოიყენა შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- არაგაუფასურებულ სესხებთან დაკავშირებით, “ჯგუფმა” შექმნა ერთობლივი 2%-იანი რეზერვი (2010 წელს რეზერვის ოდენობა განისაზღვრა 2%-ით), “ბანკისა” და საქართველოში სხვა მსგავსი ბანკების მოსალოდნელი ზარალის განაკვეთის საფუძველზე;
- გაუფასურებულ სესხებთან დაკავშირებით, “ჯგუფმა” გაითვალისწინა თავდაპირველად შეფასებული ღირებულების 25%-იანი დისკაუნტი იმ შემთხვევაში, თუ მოხდება დაგირავებული ქონების რეალიზაცია და გამოსყიდვის უფლებადაკარგული დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან თანხების მიღებისას აღვილი ექნება 36-თვიან დაგვიანებას.

ზემოაღნიშნულ ციფრებში ცვლილება ზეგავლენას იქონიებს სესხის გაუფასურების რეზერვზე. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ საანგარიში ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება განსხვავდება მინუს ერთი პროცენტით, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნება 318 ათასი ლარით უფრო ნაკლები/მეტი (2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს მაჩვენებელი შეადგენდა 309 ათას ლარს).

(ii) ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები

“ჯგუფი” ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურებას გაანგარიშებას აწარმოებს თითოეული სახის სესხზე განცდილი ზარალის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურებას გაანგარიშებას “ჯგუფის” მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები შემდეგია:

- ზარალის მიგრაციის განაკვეთები მუდმივია და მათი გაანგარიშება შესაძლებელია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების, ავტო სესხებისა და სხვა სამომხმარებლო სესხების გასული 36 თვის განმავლობაში ისტორიული ზარალის მიგრაციის მოდელის საფუძველზე.

- 180-ზე მეტი დღით გადაგასულ ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს ენიჭება გაუფასურების 100%-იანი ალბათობა.

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის გაანგარიშებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები ითვალისწინებს სესხის გაუფასურების შემდეგ განაკვეთებს:

- უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები - 4.3%
- საკრედიტო ბარათები - 4.4%
- ავტო სესხები - 4.4%
- სხვა სამომხმარებლო სესხები - 4.7%.

ამ გაანგარიშებებში ცვლილებებმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს სესხის გაუფასურების რეზერვზე. მაგალითად, თუ საანგარიშო ნაღდი ფულის მოძრაობის წმინდა ახლანდელი ღირებულება განსხვავდება მინუს სამი პროცენტით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1 214 ათასი ლარით უფრო მეტი იქნება (2010 წელს 992 ათას ლარითა შედარებით).

(გ) უზრუნველყოფის ანალიზი

(i) იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, გაუფასურების გამოქვეითვით, უზრუნველყოფის სახეების მიხედვით:

	2011		2010	
	კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა 2011 ლარი'000	სესხის პორტფელის %	კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა 2010 ლარი'000	სესხის პორტფელის %
უძრავი ქონება	24,655	77.57%	23,460	75.90%
მესამე მხარეთა გარანტიები	1,548	4.87%	2,037	6.59%
მოწყობილობები და ავტომანქანები	1,439	4.53%	800	2.59%
ნაღდი ფული	3,599	11.32%	4,197	13.58%
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	365	1.15%	-	-
სხვა უზრუნველყოფა	115	0.36%	-	-
უძრავი ქონება	63	0.20%	414	1.34%
	31,784	100%	30,908	100%

ზემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია თანხები ასახავს სესხების საბალანსო ღირებულებას და არა მაინცდამაინც უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას.

იურიდიულ პირებზე გაცემული გადაგადაცილებული თუ გაუფასურებული სესხები

იურიდიულ პირებზე გაცემული ვადაგადაცილებული თუ გაუფასურებული სესხები უზრუნველყოფილია 4,946 ათასი ლარის (2010 წელი: 4,241 ათასი ლარის) სამართლიანი ღირებულების მქონე უზრუნველყოფის ობიექტებით, ზედმეტი უზრუნველყოფის ეფექტის გარეშე.

იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი ბალანსების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც გამოიყენება იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფის სახით, შეადგენს 4,191 ათას (2010 წელი: 3,701 ათას) ლარს.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიულ პირებზე გაცემული მთლიანობაში 18,317 ათასი ლარის (2010 წელი: 17,876 ათასი ლარის) საბალანსო ღირებულების მქონე არც გაუფასურებულ და არც ვადაგადაცილებულ სესხებთან დაკავშირებით, მენეჯმენტის გაანგარიშებით უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება შეადგენს სულ ცოტა მათ საბალანსო ღირებულებას. ამ სესხების ამოღება ძირითადად დამოკიდებულია მსესხებლების კრედიტუნარიანობაზე და არა უზრუნველყოფის ღირებულებაზე, და უზრუნველყოფის მიმდინარე ღირებულება გავლენას არ ახდენს გაუფასურების შეფასებაზე.

იურიდიულ პირებზე გაცემულ წმინდა 4,948 ათასი ლარის (2010 წელი: 5,718 ათასი ლარის) ღირებულების სესხებთან (რომლებიც არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული) დაკავშირებით, არ არსებობს რაიმე უზრუნველყოფა ან უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია.

შეძენილი უზრუნველყოფა

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, "ჯგუფმა" შეიძინა 269 ათასი ლარის (2010 წელი: 3,989 ათასი ლარის) საბალანსო ღირებულების აქტივები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე უზრუნველყოფის სახით დაგირავებულ ობიექტებზე კონტროლის დამყარებით. "ჯგუფის" პოლიტიკა ითვალისწინებს ამ აქტივების უმოკლეს ვადებში გაყიდვას.

(iii) ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები

იპოთეკური სესხები უზრუნველყოფილია შესაბამისი საცხოვრებელი სახლებით. ავტო სესხები უზრუნველყოფილია შესაბამისი ავტომანქანებით, სხვა სესხები უზრუნველყოფილია სხვადასხვა სახის უზრუნველყოფით. საკრედიტო ბარათის ოვერდრაფტები უზრუნველყოფილი არ არის.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები მოიცავს სესხებს, რომელთა წმინდა საბალანსო ღირებულება შეადგენს 909 ათას ლარს (2010 წელი: 1,787 ათასი ლარი), რომლებიც უზრუნველყოფილია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები სამართლიანი ღირებულების მქონე უზრუნველყოფით. ამ სესხების უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება შეადგენს 668 ათას ლარს (2010 წელი: 1,319 ათასი ლარი). გარდა ამისა, ეს სესხები უზრუნველყოფილია მესამე მხარეთა გარანტიებით, რომლებიც თანხობრივად შეადგენს 1,370 ათას (2010 წელი: 1,369 ათასი) ლარს.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემულ 24,957 ათასი ლარის (2010 წელი: 16,783 ათასი ლარის) წმინდა საბალანსო ღირებულების მქონე სესხებთან დაკავშირებით, მენეჯმენტის გაანგარიშებით უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება შეადგენს სულ ცოტა მათ საბალანსო ღირებულებას.

“ჯგუფი” სესხების გაცემისას მიღებული უზრუნველყოფის შეფასებული ღირებულების გადაფასებას ახორციელებს მიმდინარე ღირებულებით ქონების ღირებულებაში მომხდარი სავარაუდო ცვლილებების გათვალისწინებით. “ჯგუფი” კონკრეტული უზრუნველყოფის შეფასებას ახორციელებს ყოველ ანგარიშების დღეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ნიშნები.

ავტო სესხები

ავტო სესხები მოიცავს სესხებს, რომელთა წმინდა საბალანსო ღირებულება შეადგენს 68 ათას ლარს (2010 წელი: 90 ათასი ლარი), რომლებიც უზრუნველყოფილია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები სამართლიანი ღირებულების მქონე უზრუნველყოფით. ამ სესხების უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება შეადგენს 50 ათას ლარს (2010 წელი: 74 ათასი ლარი). გარდა ამისა, ეს სესხები უზრუნველყოფილია მესამე მხარეთა გარანტიებით, რომლებიც თანხობრივად შეადგენს 18 ათას (2010 წელი: 71 ათასი) ლარს.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 950 ათასი ლარის (2010 წელი: 985 ათასი ლარის) წმინდა საბალანსო ღირებულების მქონე სესხებთან დაკავშირებით, მენეჯმენტის გაანგარიშებით უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება შეადგენს სულ ცოტა მათ საბალანსო ღირებულებას.

შეძენილი უზრუნველყოფა

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, “ჯგუფმა” შეიძინა 183 ათასი ლარის (2010 წელი: 67 ათასი ლარის) საბალანსო ღირებულების აქტივები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე უზრუნველყოფის სახით დაგირავებულ ობიექტებზე კონტროლის დამყარებით. “ჯგუფის” პოლიტიკა ითვალისწინებს ამ აქტივების უმოკლეს ვადებში გაყიდვას.

(გ) სესხის ფორტფელის ანალიზი მრეწველობის დარგებისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით

სესხები კლიენტებზე გაცემულია ძირითადად საქართველოში მდებარე იმ კლიენტებზე, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ მრეწველობის შემდეგ სექტორებში:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ვაჭრობა და მომსახურება	22,935	18,218
განათლება	2,509	4,306
სამთო მრეწველობა/მეტალურგია და წარმოება	2,884	3,662
მშენებლობა	1,545	2,803
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	168	807
სოფლის მეურნეობა	316	466
ენერგეტიკა	109	147
სხვა	1,318	499
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
- ვაჭრობა და მომსახურება	10,944	3,844
- სხვა	29,536	29,224
	72,264	63,976

(დ) მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკები

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, "ჯგუფს" არ ჰყავდა მსესხებლები ან დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფი, რომელთა სესხების დაუფარავი ნაწილები აღემატება კაპიტალის 10%-ს.

(ე) სესხების დაფარვის ვადები

სასესხო ფორტფელის დაფარვის ვადის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 27-ე შენიშვნის (დ) პუნქტში, სადაც ნაჩვენებია ანგარიშების დღიდან სესხების დაფარვის სახელშეკრულებო თარიღებამდე დარჩენილი პერიოდი.

17 დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
<i>"ჯგუფის" მფლობელობაში არსებული</i>		
სავალო და სხვა ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტები		
საქართველოს მთავრობის სახაზინო ვექსილები	-	2,165

სს "ბაზისბანკი"

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე
თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს
ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

	2011	2010
	ლარი'000	ლარი'000
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	5,000
	-	7,165
გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებებით დაგირავებული		
სავალო და სხვა ფიქსირებული შემოსავლის მქონე		
ინსტრუმენტები		
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	2,085
	-	2,085

18 სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები

2010 წელს "ჯგუფის" მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება 1,953 ათასი (2010 წელი: 2,338 ათასი) ლარის ღირებულების უძრავი ქონების და მოწყობილობების გაყიდვის თაობაზე. ამ აქტივების რეალიზაციაზე მუშაობა უკვე დაიწყო და მათი რეალიზაცია სავსებით შესაძლებელია 2012 წელს.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებით უდრის მათ სამართლიან ღირებულებას (რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით).

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
სარეალიზაციოდ განკუთვნილ აქტივების გატეორიას მიკუთვნილი აქტივები		
მიწა და შენობა-ნაგებობები	1,953	2,338
	1,953	2,338

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივების დინამიკას:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები წლის დასაწყისში	2,338	4,469
დასაკუთრებულ აქტივებში გადატანილი	-	(4,469)
დასაკუთრებულ აქტივებიდან გადმოტანილი	-	2,915
განკარგვები	(385)	-
გაუფასურების ზარალი (შენიშვნა 9)	-	(577)
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები წლის ბოლოს	1,953	2,338

19 ქონება და მოწყობილობები

ლარი'000	მიწა და შენობა-ნაგებობები	კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები	არმატურა	ავტომანქანები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სხვა	სულ
ღირებულება/გადაფასებული თანხა							
2011 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	13,883	3,936	901	131	125	127	19,103
დამატებები	469	180	142	-	6	24	821
განკარგვა	(9)	(13)	(17)	-	(125)	-	(164)
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,343	4,103	1,026	131	6	151	19,760
ცვეთა							
ბალანსი 2011 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	-	2,656	477	106	46	54	3,339
წლის ცვეთა	221	618	253	18	75	15	1,200
განკარგვები	-	(13)	(17)	-	(119)	-	(149)
ბალანსი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	221	3,261	713	124	2	69	4,390
საბალანსო ღირებულება							
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,122	842	313	7	4	82	15,370

სს "ბაზისბანკი"

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

ლარი'000	მიწა და შენობა-ნაგებობები	კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები	არმატურა	ავტომანქანები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სხვა	სულ
ღირებულება/გადაფასებული თანხა							
ბალანსი 2010 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	10,612	3,866	884	131	129	134	15,756
დამატებები	4,236	119	39	-	4	3	4,401
განკარგვები	-	(49)	(22)	-	(8)	(10)	(89)
საინვესტიციო ქონებაში გადატანა	(440)	-	-	-	-	-	(440)
გადაფასება	(525)	-	-	-	-	-	(525)
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,883	3,936	901	131	125	127	19,103
ცვეთა							
ბალანსი 2010 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	517	1,981	382	79	46	43	3,048
წლის ცვეთა	215	724	117	27	2	14	1,099
განკარგვები	-	(49)	(22)	-	(2)	(3)	(76)
საინვესტიციო ქონებაში გადატანა	(4)	-	-	-	-	-	(4)
გადაფასება	(728)	-	-	-	-	-	(728)
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2,656	477	106	46	55	3,339
საბალანსო ღირებულება							
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,883	1,280	424	25	79	73	15,764
2010 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	10,095	1,885	502	52	83	91	12,708

(ა) გადაფასებული აქტივები

2010 წელს, მენეჯმენტმა შენობა-ნაგებობების გადაფასება განახორციელა შპს "საქართველოს შეფასების კომპანიის" მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი შეფასების შედეგების საფუძველზე. შეფასებისთვის გამოყენებული იყო საბაზრო მიდგომა. საბაზრო მიდგომა ეყრდნობოდა მსგავსი მიწის ნაკვეთისა და შენობების შედარებით რეალიზაციისა და ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების შედეგების ანალიზს.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესადარ მიწის ნაკვეთებთან და შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით საბაზრო ტენდენციებისა და და ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების ანალიზის საფუძველზე, მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ შეიცვალა 2011 წლის განმავლობაში,

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება იქნებოდა 11,614 ათასი ლარი იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები არ გადაფასდებოდა (2010 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 11,367 ათასი ლარს).

20 სხვა აქტივები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ანგარიშსწორების დამუშავების სისტემებიდან მისაღები თანხები	943	101
დებიტორული დავალიანებები	372	564
სხვა მისაღები თანხები	475	460
გაუფასურების რეზერვი	(302)	(147)
სულ სხვა ფინანსური აქტივები	1,488	978
დასაკუთრებული აქტივები	13,806	13,205
წინასწარ დაფარვები	1,275	2,494
ამოსაღები გადასახადები გარდა საშემოსავლო გადასახადისა	953	1,422
დასაკუთრებულ აქტივებზე გაუფასურების ზარალის რეზერვი	(4,134)	(4,439)
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	11,900	12,682
სულ სხვა აქტივები	13,388	13,660

(ა) გაუფასურების რეზერვის დინამიკის ანალიზი

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების რეზერვის დინამიკა შემდეგია:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
წლის დასაწყისში არსებული ნაშთი	4,586	3,700

სს “ბაზისბანკი”

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
წმინდა ამოღება/დარიცხვა (შენიშვნა 9)	(150)	1,751
სარეალიზაციოდ განკუთვნილ აქტივებში გადატანა	-	(865)
წლის ბოლოს არსებული ნაშთი	4,436	4,586

დასაკუთრებული აქტივების ხასიათი და საბალანსო ღირებულება 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	საბალანსო ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბერი ლარი'000	საბალანსო ღირებულება 2010 წლის 31 დეკემბერი ლარი'000
მიწა და შენობა-ნაგებობები	9,025	7,059
დაუმთავრებელი მშენებლობა	647	1,707
	9,672	8,766

წლის განმავლობაში მოხდა 21 ათასი (2010 წელი: 461 ათასი) ლარის საბალანსო ღირებულების საკუთრებაში დაბრუნებული აქტივების განკარგვა.

მენეჯმენტის აზრით, 2011 წლის 31 დეკემბრის და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკუთრებაში დაბრუნებული აქტივების საბალანსო ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი სამართლიანი ღირებულებისა, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

269 ათასი (2010 წელი: 312 ათასი) ლარის საბალანსო ღირებულების მქონე საკუთრებაში დაბრუნებული აქტივები შეზღუდულია სხვადასხვა ვადებით, რომელთა ბოლოს მსესხებლებს შეუძლია ამ აქტივების “ჯგუფისგან” გამოსყიდვა.

21 სხვა ბანკების კუთვნილი დეპოზიტები და ნაშთები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ვოსტრო ანგარიშები	1,352	394
ვადიანი დეპოზიტები	4,001	-
	5,353	394

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, “ჯგუფს” ჰყავს ერთი ბანკი (2010 წელი: 0 ბანკი), რომლის ბალანსები აღემატება კაპიტალის 10%-ს. ამ ბალანსების ერთობლივი ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,001 ათას ლარს (2010 წელი: 0 ლარი).

22 გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე გადასახდელი თანხები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასახდელი თანხები	5,502	2,000

(ა) უზრუნველყოფა

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე გადასახდელი თანხები უზრუნველყოფილი იყო შემდეგი საშუალებებით:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
საქართველოს მთავრობის სახაზინო ვექსილები	3,705	-
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	1,990	2,085
	5,695	2,085

23 კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
მიმდინარე ანგარიშები	38,176	37,004
მოთხოვნამდე დეპოზიტები	25,432	26,553
ვადიანი დეპოზიტები	34,603	32,320
	98,211	95,877

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, "ჯგუფი" ინარჩუნებდა 11,974 ათასი (2010 წელს: 7,358 ათასი) ლარის კლიენტთა დეპოზიტების ნაშთს, რომელიც გამოიყენება "ჯგუფის" მიერ გაცემული სესხებისა და არასაბალანსო საკრედიტო ინსტრუმენტების უზრუნველყოფის სახით.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, "ჯგუფს" ჰყავდს ერთი კლიენტი (2010 წელს: ხუთი კლიენტი), რომლის ნაშთი აღემატება კაპიტალის 10%-ს. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს ბალანსები შეადგენს 11,562 ათას (2010 წელს: 14,025 ათას) ლარს.

24 სხვა ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული სესხები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
“უორლდ ბიზნის კაპიტალისგან” აღებული სესხები	16,461	8,864
“ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან” აღებული სესხები	4,413	7,813
ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხი	962	1,225
სხვა	96	104
	21,932	18,006

(ა) სუბორდინირებული სესხები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სუბორდინირებული სესხები შეადგენს “უორლდ ბიზნის კაპიტალისგან” აღებულ სესხებს, რომლებიც 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,462 ათას ლარს და რომელთა დაფარვის ვადაც დგება 2021 წელს და რომელთა წლიური საპროცენტო განაკვეთიც შეადგენს “ლიბორ”+5%-ს. გაკორტების შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხების დაფარვა განხორციელდება “ჯგუფის” ყველა სხვა დაგალიანების სრულად დაფარვის შემდეგ.

(ბ) კოეფიციენტების დარღვევა

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, “ჯგუფის” დარღვეული ჰქონდა “ერგბ”-სთან და “უორლდ ბიზნის კაპიტალთან” გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზოგი კოეფიციენტი. ამ კოეფიციენტებთან დაკავშირებით მენეჯმენტმა 2011 წლის განმავლობაში მიაღწია შეთანხმებას ისე, რომ 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი სესხები არ ექვემდებარება მოთხოვნისთანავე დაფარვას.

25 სხვა ვალდებულებები

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ანგარიშსწორების დამუშავების სისტემებისთვის გადასახდელი თანხები	439	448
დარიცხული ხარჯები	326	57
სხვა ფინანსური ვალდებულებები	850	267
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,615	772
გადასახდელი გადასახადები გარდა საშემოსავლო გადასახადისა	96	489
სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები	96	489
სულ სხვა ვალდებულებები	1,711	1,261

26 სააქციო კაპიტალი და საკუთარი აქციები

(ა) გამოშვებული კაპიტალი და პრემია აქციებზე

ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგება 6,700,001 ჩვეულებრივი აქციისგან (2010 წელი: 6,700,001), რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. აღნიშნული აქციებიდან 5,911,765 აქცია გამოშვებულია, დაფარული და ბრუნვაში გაშვებულია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2010 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 5,911,765 აქციას).

2008 წლის განმავლობაში, “ჯგუფმა” გამოუშვა 6,499 ათასი ლარის საერთო ღირებულების მქონე 886,765 ახალი აქცია, რომელთაგან თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. აღნიშნულის შედეგად, პრემიამ აქციებზე შეადგინა 5,612 ათასი ლარი.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს აქვთ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდების მიღების უფლება და “ჯგუფის” წლიურ და საერთო კრებებზე სარგებლობენ ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლებით.

(ბ) დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდები შემოიფარგლება იმ თანხით, რომელიც მიიღება “ჯგუფის” მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებიდან “ჯგუფის” იმ სავალდებულო ანგარიშებზე აღრიცხული ზოგადი რეზერვების გამოკლებით, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2011 წლის 31 დეკემბრის შემდეგ “ჯგუფს” არ გამოუცხადებია რაიმე დივიდენდი.

27 რისკების მართვა

რისკის მართვა არსებითად მნიშვნელოვანია საბანკო საქმიანობაში და წარმოადგენს “ჯგუფის” ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს. “ჯგუფის” წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდობის რისკი.

(ა) რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

“ჯგუფის” რისკის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს “ჯგუფის” წინაშე არსებული რისკების განსაზღვრას, ანალიზსა და მართვას, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და რისკის კონტროლის მექანიზმების დაწესებას, და რისკის დონეებზე და ლიმიტების დაცვაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელებას. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ექვემდებარება რეგულარულ გადასინჯვას საბაზრო პირობებში, პროდუქტებსა და მომსახურებაში, და საუკეთესო პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით.

რისკის მართვის საქმიანობის ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადასინჯვაზე და მნიშვნელოვნად დიდი რისკების დამტკიცებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება “ჯგუფის” სამეთვალყურეო საბჭოს.

მმართველი საბჭო პასუხისმგებელია რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელებასა და მონიტორინგზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ “ჯგუფმა” საქმიანობა განახორციელოს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში.

როგორც პორტფელურ, ასევე საოპერაციო დონეზე საკრედიტო, საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკების მართვა და კონტროლი ხორციელდება საკრედიტო კომიტეტისა და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტისგან შემდგარი სისტემის მეშვეობით. გადაწყვეტილების ეფექტურად მიღების ხელშეწყობის მიზნით, “ჯგუფმა” დაადგინა საკრედიტო კომიტეტების იერარქია რისკის სახეობისა და მოცულობიდან გამომდინარე.

როგორც შიდა, ასევე გარე რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და მართვა ხორციელდება “ჯგუფის” ორგანიზაციული სტრუქტურის მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის რუკების შედგენას, რომლებიც გამოიყენება რისკ-ფაქტორების სრული სპექტრის განსაზღვრისას და წარმოადგენს მიმდინარე რისკის შემცირების პროცედურებთან დაკავშირებით გარანტიის ღონის განსაზღვრის საფუძველს. გარდა საკრედიტო და საბაზრო რისკების სტანდარტული ანალიზისა, მმართველი საბჭო ახორციელებს ფინანსური და არაფინანსური რისკების მონიტორინგს სხვადასხვა სფეროში საექსპერტო დასკვნების მიღების მიზნით საოპერაციო განყოფილებებთან რეგულარული შეხვედრების ჩატარების გზით.

(ბ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასებში, მათ შორის სავალუტო კურსებში, საპროცენტო განაკვეთებში, საკრედიტო სპრედებში და კაპიტალის ფასებში მომხდარმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენას იქონიოს “ჯგუფის” შემოსავლებზე ან მისი ფორტფელის ღირებულებაზე. საბაზრო რისკი მოიცავს შემდეგ რისკებს: სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკი და სხვა ფასის რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს საპროცენტო რისკში, ვალუტისა და წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები, აგრეთვე საბაზრო ფასების მგრძობიარობის დონეში მომხდარი ცვლილებები.

საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის კომპონენტების მართვა და მათი მისაღები პარამეტრების ფარგლებში შენარჩუნება და ამასთანავე რისკის უკუგების ოპტიმიზაცია.

საბაზრო რისკის მართვის საერთო უფლებამოსილება ენიჭება მმართველ საბჭოს, რომელსაც სათავეში უდგას “ჯგუფის” გენერალური დირექტორი. საბაზრო რისკების ლიმიტებს ამტკიცებს მმართველი საბჭო სახაზინო დეპარტამენტის რეკომენდაციების საფუძველზე.

“ჯგუფი” საბაზრო რისკის მართვას ახორციელებს ფინანსური ინსტრუმენტების, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო პოზიციებისთვის ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით. მმართველი საბჭო ახორციელებს ამ ლიმიტების რეგულარულ მონიტორინგს, მათ გადასინჯვასა და დამტკიცებას.

(ი) საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთში მომხდარი ცვლილებებმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს “ჯგუფის” შემოსავლებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების ფორტფელზე. “ჯგუფის” ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზეგავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებულ დონეების მერყეობა. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო მარჟების ზრდა ან შემცირება და გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი ცვლილებების დადგომისას..

საპროცენტო რისკის პროგნოზირების ანალიზი

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ხორციელდება ძირითადად საპროცენტო განაკვეთის გაპებზე მონიტორინგის გზით. მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო გაპის პოზიციის რეზიუმე წარმოდგენილია ქვემოთ:

ლარი'000	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
2011 წლის 31 დეკემბერი						
აქტივები						
ნაღდი ფული	11,747	-	-	-	-	11,747
საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები	13,128	-	-	-	-	13,128
ბანკებში განთავსებული სახსრები	9,665	-	240	-	-	9,905
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	20,008	-	-	-	63	20,071
კლიენტებზე გაცემული სესხები	4,124	6,912	21,977	32,999	6,252	72,264
	58,672	6,912	22,217	32,999	6,315	127,115
ვალდებულებები						
სხვა ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	5,353	-	-	-	-	5,353
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	5,502	-	-	-	-	5,502
კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	65,520	6,544	22,214	3,557	376	98,211
სუბორდინირებული სესხები	-	121	-	-	3,341	3,462
სხვა ნასესხები სახსრები	-	1,830	2,835	8,701	5,104	18,470
	76,375	8,495	25,049	12,258	8,821	130,998
	(17,703)	(1,583)	(2,832)	20,741	(2,506)	(3,883)
2010 წლის 31 დეკემბერი						
აქტივები						
ნაღდი ფული	11,460	-	-	-	-	11,460
საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები	17,983	-	-	-	-	17,983
ბანკებში განთავსებული სახსრები	5,190	-	-	-	-	5,190
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	-	-	-	-	63	63
კლიენტებზე გაცემული სესხები	4,744	7,070	20,410	28,410	3,342	63,976
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები	-	7,085	2,165	-	-	9,250
	39,377	14,155	22,575	28,410	3,405	107,922

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

ლარი'000	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები						
სხვა ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	394	-	-	-	-	394
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	-	-	2,000	-	-	2,000
კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	65,125	8,140	18,613	3,712	287	95,877
სხვა ნასესხები სახსრები	-	1,735	2,017	9,897	4,357	18,006
	65,519	9,875	22,630	13,609	4,644	116,277
	(26,142)	4,280	(55)	14,801	(1,239)	(8,355)

საშუალო საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლიანი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს. ეს განაკვეთები წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვისას მისაღები შემოსავლის მიახლოებით მანკენებელს.

	2011 საშუალო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთი, %			2010 საშუალო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთი, %		
	ლარი	აშშ \$	სხვა ვალუტა	ლარი	აშშ \$	სხვა ვალუტა
შემოსავლიანი აქტივები						
საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები	3.9%	-	0.5%	-	0.5%	0.5%
სხვა ბანკებში არსებული ნოსტრო ანგარიშები	0.1%	-	-	-	-	1.0%
სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტები და გაცემული აფანსები	8.0%	-	-	-	-	-
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	10.9%	-	-	-	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	16.8%	16.4%	17.4%	16.0%	18.0%	18.0%
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები	9.1%	-	-	10.0%	-	-
პროცენტოანი ვალდებულებები						
სხვა ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	6.3%	-	-	7.0%	-	-
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	6.8%	-	-	8.0%	-	-
კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები და						

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

	2011			2010		
	საშუალო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთი, %			საშუალო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთი, %		
	ლარი	აშშ \$	სხვა ვალუტა	ლარი	აშშ \$	სხვა ვალუტა
დეპოზიტები						
- მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები	3.5%	3.3%	0.1%	4.0%	4.0%	1.0%
- ვადიანი დეპოზიტები	6.8%	9.6%	7.4%	10.0%	10.0%	10.0%
სუბორდინირებული სესხები	-	5.6%	-	-	-	-
სხვა ნასესხები სახსრები	-	4.4%	-	-	5.0%	-

საპროცენტო განაკვეთის მგრძობიარობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის გაპის ანალიზის საფუძველზე საპროცენტო რისკის მართვას ასევე თან ახლავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძობიარობაზე მონიტორინგის განხორციელება. "ჯგუფის" მოგებისა და კაპიტალის საბაზრო საპროცენტო განაკვეთში ცვლილებებისადმი მგრძობიარობის ანალიზი ეფუძნება ყველა შემოსავლიანობის მრუდში 100 საბაზო პუნქტის (სპ) მქონე სიმეტრიული ვარდნისა თუ ზეასვლის მარტივ სცენარსა და 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული პროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების პოზიციებს:

	2011		2010	
	მოგება ან ზარალი ლარი'000	კაპიტალი ლარი'000	მოგება ან ზარალი ლარი'000	კაპიტალი ლარი'000
100 სპ პარალელური ზრდა	354	354	414	414
100 სპ პარალელური კლება	(354)	(354)	(414)	(414)

(ii) სავალუტო რისკი

"ჯგუფს" გააჩნია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივები და ვალდებულებები.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანმა ღირებულებამ ან მომავალმა ფულადმა მოძრაობებმა შეიძლება იმერყეოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მომხდარი ცვლილებების გამო. მიუხედავად იმისა, რომ "ჯგუფის" ახორციელებს სავალუტო რისკის ჰეჯირებას, ფასის მიხედვით ამგვარი საქმიანობა არ კვალიფიცირდება ჰეჯირების ურთიერთობებად.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს 2011 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური ვალუტის რისკის სტრუქტურას:

	ლარი ლარი'000	აშშ დოლარი ლარი'000	ევრო ლარი'000	სხვა ლარი'000	სულ ლარი'000
აქტივები					
ნაღდი ფული	4,990	3,810	2,831	116	11,747
საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები	3,456	8,054	1,617	1	13,128
ბანკებში განთავსებული სახსრები	3,253	1,975	4,519	158	9,905
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	20,071	-	-	-	20,071
კლიენტებზე გაცემული სესხები	17,585	50,941	3,736	2	72,264
სხვა ფინანსური აქტივები	551	363	574	-	1,488
სულ აქტივები	49,906	65,143	13,277	277	128,603
ვალდებულებები					
სხვა ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	5,346	6	1	-	5,353
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	5,502	-	-	-	5,502
კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	38,452	46,361	13,110	288	98,211
სუბორდინირებული სესხები	-	3,462	-	-	3,462
სხვა ნასესხები სახსრები	96	18,374	-	-	18,470
სხვა ფინანსური ვალდებულებები	748	553	314	-	1,615
მთლიანი ვალდებულებები	50,144	68,756	13,425	288	132,613
წმინდა პოზიცია	(238)	(3,613)	(148)	(11)	(4,010)

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური ვალუტის რისკის სტრუქტურას:

	ლარი ლარი'000	აშშ დოლარი ლარი'000	ევრო ლარი'000	სხვა ლარი'000	სულ ლარი'000
აქტივები					
ნაღდი ფული	5,044	3,104	3,090	222	11,460
საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები	4,006	9,696	4,281	-	17,983
ბანკებში განთავსებული სახსრები	10	3,479	1,508	193	5,190
კლიენტებზე გაცემული სესხები	63	-	-	-	63
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი აქტივები	18,328	40,316	5,324	8	63,976
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები	9,250	-	-	-	9,250
სხვა ფინანსური აქტივები	876	51	51	-	978
სულ აქტივები	37,577	56,646	14,254	423	108,900

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

	ლარი ლარი'000	აშშ დოლარი ლარი'000	ევრო ლარი'000	სხვა ლარი'000	სულ ლარი'000
ვალდებულებები					
სხვა ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	387	6	1	-	394
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	2,000	-	-	-	2,000
კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	39,941	41,156	14,360	420	95,877
სხვა ნასესხები სახსრები	98	17,908	-	-	18,006
სხვა ფინანსური ვალდებულებები	674	68	29	1	772
სულ ვალდებულებები	43,100	59,138	14,390	421	117,049
წმინდა პოზიცია	(5,523)	(2,492)	(136)	2	(8,149)

ქვემოთ წარმოდგენილი ვალუტების მიმართ ლარის კურსის ვარდნა 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შეამცირებდა) კაპიტალსა და მოგება-ზარალს ამავე ცხრილში მითითებული თანხებით. ანალიზი წარმოდგენილია გადასახადების გარეშე და ეფუძნება უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსში იმ ცვლილებებს, რომლებიც მენეჯმენტის აზრით მოსალოდნელია საანგარიში პერიოდის ბოლომდე. ანალიზი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, მუდმივია.

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
აშშ დოლარის 10%-იანი ზრდა ლარის მიმართ	(307)	(212)
ევროს 10%-იანი ზრდა ლარის მიმართ	(13)	(12)

ზემოაღნიშნული ვალუტების მიმართ ლარის კურსის გამყარებას 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნებოდა იგივე, მაგრამ საპირისპირო გავლენა მოცემულ ვალუტებზე ზემოთ მითითებული თანხებით იმ დაშვებით, რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივია.

(iii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს “ჯგუფის” ფინანსური ზარალის რისკს, რომელიც გამოწვეულია მსესხებლის ან კონტრაგენტის მიერ “ჯგუფის” წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით. “ჯგუფს” შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ასევე არაღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებების რისკების) მართვის პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის ინსტრუქცია. გარდა ამისა, “ჯგუფში” შექმნილია საკრედიტო კომიტეტი, რომელიც ახორციელებს “ჯგუფის” საკრედიტო რისკების მკაცრ მონიტორინგს. “ჯგუფის” საკრედიტო პოლიტიკას განიხილავს და ამტკიცებს მმართველი საბჭო.

“ჯგუფის” საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს:

- სესხის/კრედიტის მიღების შესახებ განცხადებების განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების (კორპორატიული და საცალო სექტორი) კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- კონტრაგენტების, გარანტორებისა და სადაზღვევო კომპანიების კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- კრედიტის დოკუმენტირების მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

იურიდიული პირების მიერ სესხის/კრედიტის მიღების შესახებ განცხადებებს აღგენენ შესაბამისი კლიენტების მენეჯერები და შემდეგ აწვდიან კორპორატიული სესხების განყოფილებას. კორპორატიული სესხების განყოფილების საკრედიტო ანალიტიკოსების მიერ მომზადებული დასკვნები ეფუძნება სტრუქტურულ ანალიზს, სადაც ყურადღება გამახვილებულია კლიენტის ბიზნესის მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე. სესხის/კრედიტის მიღების შესახებ განცხადებებს საკრედიტო კომიტეტი განიხილავს კორპორატიული სესხების განყოფილების წარდგინების საფუძველზე. კონკრეტული რისკებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ გარიგებებს ასევე განიხილავენ “ჯგუფის” იურიდიული, საბუღალტრო და საგადასახადო განყოფილებები, საკრედიტო კომიტეტის მიერ მათ დამტკიცებამდე.

“ჯგუფი” ახორციელებს ინდივიდუალური საკრედიტო რისკების ქცევის უწყვეტ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. ეს შემოწმება ეფუძნება კლიენტის ყველაზე უფრო გვიანდელ ფინანსურ ანგარიშებსა და მსესხებლის შესახებ ამ უკანასკნელის მიერ მოწოდებულ ან “ჯგუფის” მიერ სხვაგვარად მოპოვებულ სხვა ინფორმაციას. უზრუნველყოფის მიმდინარე ღირებულებას რეგულარულად აფასებენ ან დამოუკიდებელი შემფასებელი კომპანიები ან “ჯგუფის” სპეციალისტები. საბაზრო ფასებში უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, მსესხებელს ჩვეულებრივ მოეთხოვება დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენა.

საცალო სესხის/კრედიტის მიღების შესახებ განცხადებებს განიხილავს ბანკის საცალო სესხების განყოფილება კრედიტის შეფასების მეთოდებისა და მონაცემთა გადამოწმების პროცედურების გამოყენებით.

გარდა ინდივიდუალური კლიენტის ანალიზისა, მთელ საკრედიტო პორტფელს აფასებს საკრედიტო კომიტეტი კრედიტის კონცენტრაციისა და საბაზრო რისკების თვალსაზრისით.

2010 წლის განმავლობაში “ჯგუფმა” აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) გააფორმა ოთხწლიანი საგარანტიო ხელშეკრულება კვალიფიციურ სესხებთან დაკავშირებით 50% ზარალის დაფარვის მიზნით. კვალიფიციურ სესხები მოიცავს მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემულ სესხებს იმ პირობით, რომ კვალიფიციური პორტფელის 35% წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო სესხებით. საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად, ყველა კვალიფიციური სესხის ჯამური ძირის დაუფარავი ნაწილი არასოდეს უნდა აღემატებოდეს 6 მილიონ აშშ დოლარს. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

კლიენტებზე გაცემული კვალიფიციური სესხების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 230 ათასი ლარი (2010 წელი: 0 ლარი).

საკრედიტო რისკის მიმართ “ჯგუფის” მაქსიმალური მგრძობიარობა ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ნაერთ ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. პოტენციური საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთნათვლის ზეგავლენა უმნიშვნელოა.

ანგარიშების დღისთვის საბალანსო საკრედიტო რისკის მიმართ “ჯგუფის” მაქსიმალური მგრძობიარობა შემდეგია:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
აქტივები		
საქართველოს ეროვნული ბანკისგან მისაღები სახსრები	13,128	17,983
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები	9,905	5,190
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	20,071	63
კლიენტებზე გაცემული სესხები	72,264	63,976
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები	-	9,250
სხვა ფინანსური აქტივები	1,488	978
სულ საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური მგრძობიარობა	116,856	97,440

კლიენტებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფას “ჯგუფი” ფლობს ქონებაზე იპოთეკარის უფლებების, აქტივებზე სხვა რეგისტრირებული უზრუნველყოფის უფლებებისა და გარანტიების საფუძველზე. ღირებულების გაანგარიშება ეფუძნება უზრუნველყოფის სესხის გაცემისას შეფასებულ ღირებულებას, რომელიც მიმდინარე ღირებულებად გადაფასდება ქონების ღირებულებაში მომხდარი სავარაუდო ცვლილებების კვალობაზე. “ჯგუფი” კონკრეტული უზრუნველყოფის შეფასებას ახორციელებს ყოველ ანგარიშების დღეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ნიშნები.

ზოგადად, უზრუნველყოფა არ გამოიყენება ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციების მიმართ გარდა იმ ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც გამოიყენება უკუ შესყიდვის საქმიანობის ფარგლებში.

კლიენტებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფასთან და კლიენტებზე გაცემული სესხებთან დაკავშირებით საკრედიტო რისკის კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ 16-ე შენიშვნა.

ანგარიშების დღისთვის არადიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური მგრძობიარობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ 29-ე შენიშვნა.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არა ჰყავს მოვალეები ან დაკავშირებული მოვალეების ჯგუფი (2010 წელი: 0), რომლებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკიც აღემატება მაქსიმალური საკრედიტო რისკის 10%-ს.

(iii) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ “ჯგუფს” გაუჭირდება თავისი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო სახსრების მოძიება. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებისა და საპროცენტო განაკვეთების დამთხვევა ან დარეგულირებული დაუმთხვევლობა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის “ჯგუფის” მართვისთვის. ჩვეულებრივ, ფინანსურ ინსტიტუტებში აბსოლუტური დამთხვევა ძალზე იშვიათია, რადგან განხორციელებული საქმიანობა ხშირად გაურკვეველი ვადისა და სხვადასხვა სახისაა. განსხვავებული პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ აგრეთვე ზარალის რისკსაც.

“ჯგუფი” ლიკვიდობის მართვას ახორციელებს იმისათვის, რომ სახსრები ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი ვალდებულებების ვადის დადგომისთანავე შესასრულებლად. “ჯგუფის” ლიკვიდობის პოლიტიკას განიხილავს და ამტკიცებს მმართველი საბჭო.

“ჯგუფი” აქტიურად უჭერს მხარს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსების ბაზას, რომელიც შედგება სხვა ბანკებიდან აღებული სესხებისგან, კორპორატიული და საცალო კლიენტების დეპოზიტებისგან. გარდა ამისა, დაფინანსების ბაზას თან ახლავს მაღალი ლიკვიდობის მქონე აქტივების დივერსიფიცირებული ფორტფელეები ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების ოპერატიულად და უმტკივნეულოდ შესრულების მიზნით.

“ჯგუფი” ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- ძირითად ვალუტებში ფულადი ნაკადების პროგნოზირება და მათთან დაკავშირებული ლიკვიდური აქტივების აუცილებელი დონეების განსაზღვრა;
- დაფინანსების სხვადასხვა წყაროების უზრუნველყოფა;
- ვალების კონცენტრაციისა და პროფილის მართვა;
- ვადის დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფა;
- მაღალი ლიკვიდობის მქონე ფასიანი ქაღალდების პორტფელის უზრუნველყოფა ფულად ნაკადებში რაიმე შეფერხებისას მათი ოპერატიულად რეალიზაციის მიზნით;
- ლიკვიდობისა და დაფინანსების საგანგებო გეგმების შემუშავება;
- საბალანსო ლიკვიდობის კოეფიციენტებზე მონიტორინგის განხორციელება მათთან დაკავშირებით მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვის მიზნით.

სახაზინო დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას სამეურნეო ერთეულებისგან მათი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის პროფილის შესახებ და მონაცემებს სამომავლოდ პროგნოზირებული საქმიანობიდან გამომდინარე სხვა საპროგნოზო ფულადი ნაკადების შესახებ. ამის შემდეგ სახაზინო დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ პორტფელს, რომელიც უმთავრესად შედგება მოკლევადიანი ლიკვიდური ფასიანი ქაღალდებისგან, ბანკებზე გაცემული სესხებისა და სხვა ბანკთაშორისი პროდუქტებისგან იმისათვის, რომ მთლიანობაში “ჯგუფში” იყოს საკმარისი ლიკვიდობა.

სს “ბაზისბანკი”

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

სახაზინო დეპარტამენტი ახორციელებს ყოველდღიური ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს და ატარებს ნორმალურ და შედარებით ექსტრემალურ საბაზრო პირობების ამსახველი სხვადასხვა სცენარების მეშვეობით ლიკვიდობის სტრესის რეგულარულ ტესტირებას. ნორმალურ საბაზრო პირობებში, “ჯგუფის” ლიკვიდობის პოზიციის ამსახველი ლიკვიდობის ანგარიშები ყოველკვირეულად წარედგინება მენეჯმენტის ზედა რგოლს. “ჯგუფის” ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს მმართველი საბჭო და ახორციელებს სახაზინო დეპარტამენტი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში ნაჩვენებია “ჯგუფის” ფინანსური ვალდებულებებისა და საკრედიტო ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობა მათი დაფარვის უადრესი სახელშეკრულებო ვადის გათვალისწინებით. ცხრილში წარმოდგენილი მთლიანი შემოდინება და გადინება არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებისა თუ ვალდებულებების მიხედვით.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ლარი'000	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	მთლიანი გადინების თანხა სულ	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული ვალდებულებები							
სხვა ბანკების დეპოზიტები და ნაშთები	5,357	-	-	-	-	5,357	5,353
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	5,507	-	-	-	-	5,507	5,502
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	65,567	6,691	13,073	10,182	4,917	100,430	98,211
სუბორდინირებული სესხები	-	-	-	-	5,098	5,098	3,462
სხვა ნასესხები სახსრები	-	1,930	607	2,840	16,060	21,437	18,470
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,615	-	-	-	-	1,615	1,615
სულ ვალდებულებები	78,046	8,621	13,680	13,022	26,075	139,444	132,613
საკრედიტო ვალდებულებები	20,874	-	-	-	-	20,874	20,874

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ლარი'000	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	მთლიანი გადინების თანხა სულ	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული ვალდებულებები							
სხვა ბანკების დეპოზიტები და ნაშთები	394	-	-	-	-	394	394
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	-	-	2,063	-	-	2,063	2,000
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	65,358	8,527	12,474	6,798	4,832	97,989	95,877
სხვა ნასესხები სახსრები	-	1,792	-	2,565	15,935	20,292	18,006
სხვა ფინანსური ვალდებულებები	448	324	-	-	-	772	772
სულ ვალდებულებები	66,200	10,643	14,537	9,363	20,767	121,510	117,049
საკრედიტო ვალდებულებები	11,890	-	-	-	-	11,890	11,890

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში
აღიარებული თანხების მოსალოდნელი ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ლარი'000	მოთხოვნმდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	1-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტე	დაფარვის ვადის გარეშე	ვადა გადაცილებული	სულ
არაწარმოებული აქტივები								
ნაღდი ფული	11,747	-	-	-	-	-	-	11,747
საქართველოს ეროვნული ბანკისგან მისაღები	13,128	-	-	-	-	-	-	13,128
სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტები	9,665	-	240	-	-	-	-	9,905
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	20,008	-	-	-	-	63	-	20,071
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,993	6,912	21,977	32,999	6,252	-	1,131	72,264
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები	-	-	1,953	-	-	-	-	1,953
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-	-	1,295	-	1,295
მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	-	-	-	-	-	15,370	-	15,370
არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	231	-	231
სხვა აქტივები	2,250	16	135	65	1,256	9,666	-	13,388
სულ აქტივები	59,791	6,928	24,305	33,064	7,508	26,625	1,131	159,352
არაწარმოებული ვალდებულებები								
სხვა ბანკების დეპოზიტები და ნაშთები	5,353	-	-	-	-	-	-	5,353
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	5,502	-	-	-	-	-	-	5,502
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	65,520	6,544	22,214	3,557	376	-	-	98,211
სუბორდინირებული სესხები	-	121	-	-	3,341	-	-	3,462
სხვა ნასესხები სასრები	-	1,830	2,835	8,701	5,104	-	-	18,470
გადავადებული გადასახადები	-	-	-	-	-	1,005	-	1,005
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,711	-	-	-	-	-	-	1,711
სულ ვალდებულებები	78,086	8,495	25,049	12,258	8,821	1,005	-	133,714

სს “ბაზისბანკი”

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

ლარი'000	მოთხოვნამდე	დაფარვის				ვადა	სულ
	და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12-დან 18 თვემდე		
წმინდა პოზიცია	(18,295)	(1,567)	(744)	20,806	(1,313)	25,620	1,131 25,638

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ნაჩვენებია მოთხოვნამდე კატეგორიაში, რადგან მენეჯმენტი ამ აქტივებს მაღალლიკვიდურ აქტივებად მიიჩნევს, რომლებიც შეიძლება თავისუფლად გაიყიდოს საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ ვალდებულებებზე ფულის გადინების საპასუხოდ.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, “ჯგუფს” დარღვეული ჰქონდა “უორლდ ბიზნეს კაპიტალთან” (WBC) გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ფინანსური კოეფიციენტი. 2011 წლის 31 დეკემბრამდე, “უორლდ ბიზნეს კაპიტალის” წარმომადგენლებმა დააფიქსირეს თავიანთი განზრახვა, უარი თქვან სესხის დარჩენილი ნაწილის დაუყოვნებლივი დაფარვის მოთხოვნის უფლების გამოყენებაზე. 2012 წლის 24 აპრილს “ჯგუფმა” მიიღო აღნიშნული უფლების გამოყენებაზე უარის თქმის დამადასტურებელი წერილი. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში “უორლდ ბიზნეს კაპიტალისთვის” გადასახდელი თანხები შესაბამისად ნაჩვენებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავდაპირველი დაფარვის ვადების მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 2010 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარებული თანხების ანალიზი:

ლარი'000	მოთხოვნამდე	დაფარვის				ვადა	სულ
	და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12-დან 18 თვემდე		
არაწარმოებული აქტივები							
ნაღდი ფული	11,460	-	-	-	-	-	11,460
საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები	17,983	-	-	-	-	-	17,983
ბანკებში განთავსებული სახსრები	5,190	-	-	-	-	-	5,190
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი აქტივები	-	-	-	-	-	63	63
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,837	7,070	20,410	28,410	3,342	-	907 63,976
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები	-	7,085	2,165	-	-	-	9,250
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები	-	-	2,338	-	-	-	2,338
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-	-	436	436
ქონება და მოწყობილობები	-	-	-	-	-	15,764	15,764

სს “ბაზისბანკი”

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

ლარი'000	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უვალო	ვადა გადაცილებული	სულ
	არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	275	-
სხვა აქტივები	2,050	1,422	-	1,422	-	8,766	-	13,660
სულ აქტივები	40,520	15,577	24,913	29,832	3,342	25,304	907	140,395
არაწარმოებული ვალდებულებები								
სხვა ბანკების დეპოზიტები და ნაშთები	394	-	-	-	-	-	-	394
გამოსყიდვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები	-	-	2,000	-	-	-	-	2,000
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	65,125	8,140	18,613	3,712	287	-	-	95,877
სხვა ნასესხები სახსრები	-	1,735	2,017	9,897	4,357	-	-	18,006
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	-	-	-	-	551	-	551
სხვა ვალდებულებები	448	813	-	-	-	-	-	1,261
სულ ვალდებულებები	65,967	10,688	22,630	13,609	4,644	551	-	118,089
წმინდა პოზიცია	(25,447)	4,889	2,283	16,223	(1,302)	24,753	907	22,306

ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით “ჯგუფის” მიერ გამოყენებული უმთავრესი ღონისძიებაა წმინდა ლიკვიდური აქტივების კლიენტების დეპოზიტებთან შეფარდების კოეფიციენტის გამოყენება. ამ მიზნით, წმინდა ლიკვიდური აქტივები მოიცავს ნაღდ ფულსა და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს და იმ ინვესტიციის ღონის სავალო ფასიან ქაღალდებს, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს აქტიური და ლიკვიდური ბაზარი, რასაც აკლდება სხვა ბანკების დეპოზიტები, სხვა ნასესხები სახსრები, რომელთა დაფარვის ვადაც მომდევნო თვეს დგება, და ვალდებულებები, გარდა იმ დეპოზიტებით უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა. მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს კოეფიციენტი 20%-სა და 40%-ს შორის. ანგარიშების დღეს და ანგარიშების პერიოდში წმინდა ლიკვიდური აქტივების კლიენტების დეპოზიტებთან შეფარდების წარმოდგენილი კოეფიციენტი შემდეგია:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
წმინდა ლიკვიდური აქტივების შეფარდება კლიენტთა დეპოზიტებთან	24%	33%

მსგავსი, თუმცა არაიდენტური გაანგარიშება გამოიყენება სებ-ის მიერ დადგენილ ლიკვიდობის მოთხოვნასთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით.

28 კაპიტალის მართვა

კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ბანკს უწესებს და ბანკის მიერ ამ მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს სებ-ი.

"ბანკი" კაპიტალს მიაკუთვნებს იმ საგნებს, რომლებიც ნორმატიული აქტის საფუძველზე განისაზღვრება ბანკების კაპიტალად. კაპიტალთან დაკავშირებით სებ-ის მიერ დადგენილი მიმდინარე მოთხოვნების მიხედვით, ბანკებმა უნდა შეინარჩონონ კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი ("სავალდებულო კაპიტალის კოეფიციენტი") დადგენილ მინიმალურ დონეზე უფრო მაღლა. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს მინიმალური დონე შეადგენს 12%-ს. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, "ჯგუფი" აკმაყოფილებდა სავალდებულო კაპიტალის კოეფიციენტთან დაკავშირებულ მოთხოვნას.

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
	შეუმოწმებული	შეუმოწმებული
პირველადი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	5,912	5,912
პრემია აქციებზე	5,612	5,612
გაუნაწილებელი მოგება სებ-ის მოთხოვნების თანახმად	8,017	6,220
გამოქვითვები	(231)	(275)
სულ პირველადი კაპიტალი	19,310	17,469
მეორადი კაპიტალი		
წლის მოგება სებ-ის მოთხოვნების თანახმად	3,214	1,818
საერთო რეზერვი	1,290	1,167
სუბორდინირებული კაპიტალი	3,341	-
სულ მეორადი კაპიტალი	7,845	2,985
გამოქვითვები	(5,201)	(2,627)
სულ ნებადართული კაპიტალი	21,954	17,827
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკები	151,182	118,343
სულ კაპიტალის კოეფიციენტი	14.5%	15.1%

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შეფასება ხორციელდება ბუნების მიხედვით კლასიფიცირებული რისკის წონების იერარქიის მიხედვით, თითოეულ აქტივთან და კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების გაანგარიშების საფუძველზე, ნებისმიერი მისაღები უზრუნველყოფის ან გარანტიის გათვალისწინებით. მსგავსი მიდგომა გამოიყენება არაღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ, გარკვეული კორექტირებების გათვალისწინებით, პოტენციური დანაკარგების უფრო პირობითი ხასიათის ასახვის მიზნით.

სს “ბაზისბანკი”

*2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე
თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს
ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს*

29 სესხის გაცემის ვალდებულებები

“ჯგუფს” აქვს სესხის გაცემის შესასრულებელი ვალდებულებები. ამ ვალდებულებებს აქვს დამტკიცებული სესხების, საკრედიტო ბარათის ლიმიტებისა და ოვერდრაფტების ფორმა.

“ჯგუფი” გასცემს ფინანსურ გარანტიებსა და აკრედიტივებს კლიენტების მიერ მესაღე მხარეთა წინაშე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ამგვარი ხელშეკრულებები გაფორმებულია ფიქსირებული ვადით და ჩვეულებრივ მოიცავს ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდს. გარდა ამისა, “ჯგუფი” გასცემს გარანტიებს ფასიანი ქაღალდების სესხის აღებისა და სესხის გაცემის გარიგებებში შუამავლის სტატუსით მოქმედების გზით.

კრედიტის გაცემის ვალდებულებების აღებისას, გარანტიების გაცემისას და საკრედიტო ხაზების გახსნისას ჯგუფი იყენებს საკრედიტო რისკის მართვის იმავე პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებსაც ის იყენებს კლიენტებზე სესხების გაცემისას.

ამგვარი ვალდებულებების სახელშეკრულებო თანხები კატეგორიების მიხედვით ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ამ ცხრილში ასახული სესხის გაცემის ვალდებულებების თანხებში იგულისხმება, რომ ისინი ავანსადაა გაცემული. ამავ ცხრილში ასახული გარანტიებისა და აკრედიტივების გაცემის ვალდებულებების თანხები წარმოადგენს მაქსიმალურ საადრიცხვო ზარალს, რომლის აღიარებაც მოხდებოდა ანგარიშების დღეს ხელშეკრული მხარეების მიერ თავიანთი ვალდებულებების სრული შეუსრულებლობის შემთხვევაში.

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
სახელშეკრულებო თანხა		
გარანტიები	12,936	7,177
საკრედიტო ხაზის აუთვისებელი თანხები	1,422	3,116
ოვერდრაფტის აუთვისებელი თანხები	6,516	1,597
	20,874	11,890

ზემოთ ნაჩვენები მთლიანი შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები მაინცდამაინც არ წარმოადგენს მომავალი პერიოდის ნაღდ ფულთან დაკავშირებულ მოხოვნებს, რადგან ამ ვალდებულებების ვადა შეიძლება ამოიწუროს ან შეწყდეს დაფინანსების გარეშე.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, “ჯგუფს” არ ჰყავდა ისეთი კლიენტები, რომელთა ნაშთები აღემატებოდა მთლიანი ვალდებულებების 10%-ს.

30 საოპერაციო იჯარა

(ა) საიჯარო ურთიერთობები მოიჯარის სტატუსით

აუქმებადი საოპერაციო საიჯარო გადასახადები 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ერთ წელზე უფრო ნაკლები ვადით	70	95
ერთიდან ხუთ წლამდე ვადით	5	133
	75	228

“ჯგუფს” საოპერაციო იჯარით აქვს აღებული რამდენიმე შენობა-ნაგებობა. ამ საიჯარო ურთიერთობების მოქმედების ვადა ჩვეულებრივ 2-დან 5 წლამდე პერიოდს მოიცავს, ვადის ამოწურვის შემდეგ საიჯარო ხელშეკრულების გახანგრძლივების შესაძლებლობით. არცერთი საიჯარო ურთიერთობა არ ითვალისწინებს პირობით საიჯარო გადასახადს.

31 გაუთვალისწინებელი ხარჯები

(ა) სასამართლო ხარჯები

ჩვეულებრივი საქმიანობის განხორციელების პროცესში, “ჯგუფის” წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სხვადასხვა სასამართლო საქმე და შეტანილ იყოს სხვადასხვა საჩივარი. მენეჯმენტის აზრით, ამგვარი სასამართლო საქმიდან თუ საჩივრიდან გამომდინარე საბოლოო პასუხისმგებლობა, მისი არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ვერ იქონიებს “ჯგუფის” ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

(ბ) გაუთვალისწინებელი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებით, რომლებიც ხანდახან ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და ეჭვმდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. გადასახადები ეჭვმდებარება არაერთი ორგანოს მიერ შემოწმებასა და გამოძიებას, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, პირგასამტეხლოებისა და საურავების დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმებას ეჭვმდებარე შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში საგადასახადო წელი შეიძლება უფრო დიდი ხნითაც არ დაიხუროს. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა მოვლენები მიანიშნებს იმაზე, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო მკაცრ პოზიციას იკავებენ საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებისას და აღსრულებისას.

აღნიშნულმა გარემოებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკი საქართველოში, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის შესაბამისად უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და მისი წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა ორგანოების მიერ მათი ინტერპრეტაციების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. გარდა ამისა, "ჯგუფი" რეგულარულად სარგებლობს კვალიფიციური დამოუკიდებელი საგადასახადო კონსულტაციებით.

32 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები დირექტორთა საბჭოსა და მმართველი საბჭოს წევრებთან

პერსონალის ხარჯებში შეტანილი მთლიანი შრომის ანაზღაურება 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	218	227
მმართველი საბჭოს წევრები	713	472
	931	699

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი ნაშთები და საშუალო საპროცენტო განაკვეთები დირექტორთა საბჭოსა და მმართველი საბჭოს წევრებთან განხორციელებულ გარიგებებში შემდეგია:

	2011 ლარი'000	საშუალო საპროცენტო განაკვეთი, %	2010 ლარი'000	საშუალო საპროცენტო განაკვეთი, %
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	538	16%	566	17%
ვალდებულებები				
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	422	5%	107	4%

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგებაში ან ზარალში ასახული თანხები ღირებულებების საბჭოსა და მმართველი საბჭოს წევრებთან განხორციელებულ გარიგებებთან დაკავშირებით შემდეგია:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
მოგება ან ზარალი		
საპროცენტო შემოსავალი	54	13
საპროცენტო ხარჯი	(14)	(16)

(ბ) გარიგებები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუფარავი ნაშთები და საშუალო საპროცენტო განაკვეთები, აგრეთვე 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგებაში ან ზარალში ასახული თანხები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ გარიგებებში შემდეგია:

	“ჯგუფზე” მნიშვნელოვანი გაფელის მქონე ორგანიზაციები		მენეჯმენტის წამყვანი რგოლის ოჯახის წევრები		მენეჯმენტის წამყვანი რგოლის კონტროლის ან მნიშვნელოვანი ზეგაფელის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		სულ ლარი'000
	ლარი'000	საშუალო საპროცენტო განაკვეთი, %	ლარი'000	საშუალო საპროცენტო განაკვეთი, %	ლარი'000	საშუალო საპროცენტო განაკვეთი, %	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში							
აქტივები							
კლიენტებზე გაცემული სესხები	65	17%	54	20%	408	19%	527
ვალდებულებები							
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	55	3%	414	4%	11,833	1%	12,302
სხვა ნასესხები სახსრები	4,413	7%	-	-	-	-	4,413
მოგება (ზარალი)							
საპროცენტო შემოსავალი	15		11		58		84
საპროცენტო ხარჯი	(155)		(40)		(98)		(293)

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუფარავი ნაშთები და საშუალო საპროცენტო განაკვეთები, აგრეთვე 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგებაში ან ზარალში ასახული თანხები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ გარიგებებში შემდეგია:

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

	“ჯგუფზე” მნიშვნელოვანი გაველენის მქონე ორგანიზაციები		მენეჯმენტის წამყვანი რგოლის ოჯახის წევრები		მენეჯმენტის წამყვანი რგოლის კონტროლის ან მნიშვნელოვანი ზეგაველენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		სულ ლარი'000
	ლარი'000	საშუალო საპროცენტო განაკვეთი, %	ლარი'000	საშუალო საპროცენტო განაკვეთი, %	ლარი'000	საშუალო საპროცენტო განაკვეთი, %	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში							
აქტივები							
კლიენტებზე გაცემული სესხები	291	19%	267	15%	428	16%	986
ვალდებულებები							
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	365	7%	620	4%	433	1%	1,418
სხვა ნასესხები სახსრები	7,813	7%	-	-	-	-	7,813
მოგება (ზარალი)							
საპროცენტო შემოსავალი	15		1		5		21
საპროცენტო ხარჯი	(394)		(66)		(10)		(470)
პერსონალის ხარჯი	(21)		-		-		(21)

33 ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები

ფინანსური წლის ბოლოსათვის არსებული ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები, რომლებიც ასახულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში, შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
ნაღდი ფული	11,747	11,460
საქართველოს ეროვნული ბანკისგან მისაღები	3,560	14,373
ნოსტრო ანგარიშები	6,547	4,848
	21,854	30,681

34 ფინანსური აქტივები და პასივები: სამართლიანი ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის (გარდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი არაკოტირებული სავალო ინსტრუმენტებისა) საანგარიშო სამართლიანი ღირებულებები უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებებს. როგორც მე-15 შენიშვნაშია განმარტებული, 63 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი არაკოტირებული სავალო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელი იყო 2011 წლის 31 დეკემბრისა და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების მეთოდები მოიცავს წმინდა ახლანდელ ღირებულებისა და დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელებს, იმ მსგავს ინსტრუმენტებთან შედარებას, რომლებთან მიმართებითაც არსებობს ბაზარზე დაკვირვებადი მონაცემები, და შეფასების სხვა მეთოდებს.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების მიზნით მენეჯმენტის მიერ გამოიყენება ქვემოთ მითითებული დაშვებები:

- 8% და 12%-19%-იანი დისკონტირების განაკვეთები გამოიყენება სხვა შესაბამისად ბანკებზე გაცემული ანაბრებიდან და სხვა ავანსებიდან, აგრეთვე კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის.
- 1%-10%-იანი დისკონტირების განაკვეთები გამოიყენება ვალდებულებებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის.

სამართლიანი ღირებულებით გაანგარიშებების მიზანია იმ თანხის მიახლოება, რომელზეც ფინანსური ინსტრუმენტი გადაიცვლება მცოდნე, სურვილის მქონე მხარეებს შორის საბაზრო გარიგების საფუძველზე. ამასთან, გაურკვევლობებისა და ობიექტური აზროვნების გათვალისწინებით, ეს სამართლიანი ღირებულება უნდა განიმარტოს, როგორც აქტივების დაუყოვნებლივი გაყიდვის ან ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის შემთხვევაში რეალიზებადი.

(ბ) სამართლიანი ღირებულების იერარქია

"ჯგუფი" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებას ახორციელებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიული დონეების გამოყენებით, რომლებიც ასახავს ამ გაანგარიშებების წარმოებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- დონე 1: იდენტური ინსტრუმენტის აქტიურ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი).

- დონე 2: შეფასების მეთოდები, რომლებიც ეფუძნება დაკვირვებად მონაცემებს, ან პირდაპირ (მ.შ. ფასებს), ან არაპირდაპირ (მ.შ. ფასებიდან მიღებულს). ამ კატეგორიაში შედის ის ინსტრუმენტები, რომელთა შეფასებაც ხორციელდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების აქტიურ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები; იდენტური ან მსგავსი ინსტრუმენტების ნაკლებად აქტიურად მიჩნეულ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები; ან შეფასების სხვა მეთოდები, სადაც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი საბაზრო მონაცემებიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ შესამჩნევია.
- დონე 3: შეფასების მეთოდები, რომლებიც ეფუძნება მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს. ამ კატეგორიაში შედის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელთა შეფასების მეთოდიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც დაკვირვებად მონაცემებზე არაა დაფუძნებული და დაუკვირვებად მონაცემებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ის ინსტრუმენტები, რომელთა შეფასებაც ხორციელდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე და მოითხოვება მნიშვნელოვანი დაუკვირვებადი კორექტირებები ან დაშვებები ამ ინსტრუმენტებს შორის სხვაობების ასახვის მიზნით.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარობით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულების იმ იერარქიული დონეების მიხედვით, რომლებსაც სამართლიანი ღირებულებით შეფასება მიეკუთვნება:

ლარი '000	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები				
- სავალდ და ფიქსირებულ შემოსავლიანი სხვა ინსტრუმენტები	-	20,008	-	20,008

35 ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2012 წლის 12 თებერვალს “ბაზისბანკმა” 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნა აქტივების მართვის შვილობილი საწარმო სახელწოდებით “ბაზისის აქტივების მართვის კოლდინგი”.